

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი #4

ქ. თბილისი

2020 წლის 25 დეკემბერი

ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული პანდემიის გამო წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ფორმატთან დაკავშირებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დისტანციურად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების თაობაზე.

შესაბამისად, თსუ სენატის სამდივნოს მიერ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს ელ. მისამართებზე დაეგზავნათ წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის დღის წესრიგი, შესაბამისი მასალებით და ეთხოვათ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, დისტანციურად დააფიქსირებინათ პოზიცია, უჭერდნენ თუ არა მხარს წარმოდგენილ საკითხებს.

#### დისტანციური სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების დამტკიცება (მომხსენებლები: ლაშა საღინაძე, არჩილ კუკულავა)
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის დებულების დამტკიცება (მომხსენებელი: გიორგი ღვედაშვილი)
3. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედია ცენტრის დებულების დამტკიცება (მომხსენებლები: ნინო კაკულია, არჩილ კუკულავა)
5. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებელი: ნანა გაფრინდაშვილი)

6. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებული უძრავ/მოდრავი ქონების განკარგვის საკითხი (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)
7. “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის #112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თსუ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ნოემბრის #115/2020 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: ლაშა სალინაძე)
8. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის #112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის #122/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თსუ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ნოემბრის #116/2020 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: ლაშა სალინაძე)
9. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის #63/2018 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ თსუ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 დეკემბრის #117/2020 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: ზურაბ შენგელია)
10. თსუ ზუსტ და საბუნებისმეცნიერო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებელი: რამაზ ხომერიკი)
11. სსიპ-ივანეჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დებულებაში ცვლილების დამტკიცება (მომხსენებელი: ირაკლი ღარიბაშვილი)
12. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებელი: ნათელა ლაცაბიძე)
13. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცება (მომხსენებელი: ლაშა სალინაძე)

თსუ სენატის სამდივნოში ელ. ფოსტის მეშვეობით, თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგმა 49 წევრმა:

1. გიორგი გოგსაძე
2. შოთა კეყერეშვილი
3. არჩილ ჯავახიშვილი
4. ლევან საბაური
5. ირაკლი ღარიბაშვილი
6. ადა ნემსაძე
7. მარინე ხუციშვილი
8. ლია მაჭავარიანი
9. კობა ყალიჩავა
10. თემურ

ცეტიშვილი 11. კახაბერ ლორია 12. მიხეილ რუხაია 13. ნათელა არჩვაძე 14. ომარ მუკბანიანი 15. ილია თავხელიძე 16. ნოდარ ლომიძე 17. სოფიო ხუციშვილი 18. არნოლდ გეგეჭკორი 19. მანანა რუსეიშვილი 20. ბეჟან თუთბერიძე 21. ნინო ჭალაგანიძე 22. მარინა გარიშვილი 23. ზურაბ გაიპარაშვილი 24. ელენე ბებერაშვილი 25. ელისაბედ ბჟალავა 26. ირინე ჟვანია 27. ნინო აბესაძე 28. ნაზირა კაკულია 29. სანდრო მარანელი 30. ვლადიმერ მარგველაშვილი 31. ნინო ჩახუნაშვილი 32. დინა ხუციშვილი 33. ლალი ახალბედაშვილი 34. ეთერ კაკულია 35. მარინა გურგენიშვილი 36. ციური სუმბაძე 37. ალექსანდრე გაბაშვილი 38. გიორგი ჯაფოშვილი 39. აპოლონ თაბუაშვილი 40. გიორგი ოთხმეზური 41. დაჩი ჩიტაია 42. გიორგი თუმანიშვილი 43. მერაბ ხოხობაია 44. თამილა ჩალაძე 45. თამარ ბერაძე 46. მარიამ თვალაძე 47. საბა სახვაძე 48. თამარ ლაშხი 49. თინა ქიტუაშვილი (დანართი 1)

იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დღის წესრიგით გათვალისწინებული რიგი საკითხების განხილვაში მონაწილეობს ასევე აკადემიური საბჭო, მასალები რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს მიერ გადაგზავნილი იქნა თსუ აკადემიური საბჭოს წევრებთან გასაცნობად (დანართი 2).

სენატის წევრმა დაჩი ჩიტაიამ წარმოდგენილი საკითხების მხარდაჭერისაგან თავი შეიკავა და ითხოვა საკითხების განხილვის გადავადება გონივრული ვადით იმისათვის, რომ საბჭოს წევრებს ჰქონოდათ შესაძლებლობა უკეთ გაცნობოდნენ საკითხებს, მით უფრო თსუ ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტს, საჭიროებისამებრ დაესვათ კითხვები ან გაეცათ შენიშვნა/რეკომენდაციები. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლებმა გიორგი ოთხმეზურმა და აპოლონ თაბუაშვილმა მხარი არ დაუჭირეს თსუ ბიუჯეტის პროექტს, რადგან მათი აზრით, მასში არ ჩანდა სხვადასხვა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ხელფასების გათანაბრების ტენდენცია. ამასთან, მათ თავი შეიკავეს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში შესატან იმ ცვლილებასთან დაკავშირებით, რომლის მიმართაც ფაკულტეტზე გარკვეული აზრთა სხვადასხვაობაა. (თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი 17.12.2020 წ. N 21). დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით კი დააფიქსირეს თანხმობა.

სენატის წევრ, დაჩი ჩიტაიას მოსაზრებასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა თსუ სენატის სამდივნოს უფროსმა გიორგი ჩაკვეტაძემ და აღნიშნა, რომ საკითხების უმეტეს ნაწილზე დოკუმენტაცია სენატის სამდივნოს მიერ საბჭოს წევრებთან განსახილველად გადაგზავნილი იქნა მ.წ. 18 დეკემბერს. ამასთან, სენატის სამდივნომ ვადის განსაზღვრისას იხელმძღვანელა თსუ წესდების მე-13 მუხლის (წარმომადგენლობითი საბჭოს მუშაობის წესი) 22-ე პუნქტით, რომლის თანახმად, სხდომაზე განსახილველი საკითხები დგინდება არანაკლებ სამი დღით ადრე (გარდა რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგისა).

ხმის მიცემის პროცედურასთან და ფორმასთან დაკავშირებით თავისი პოზიცია დააფიქსირეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა დაჩი ჩიტაიამ, მიხეილ რუხაიამ, ირაკლი ღარიბაშვილმა.

სენატის წევრმა, ომარ მუკბანიანმა აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა არ ყოფილიყო განსხვავება პროფესორების ხელფასებს შორის. აღნიშნული პოზიცია გაიზიარა ბატონმა მიხეილ რუხაიამ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა ბეჟან თუთბერიძემ შეკითხვები დააფიქსირა შინაგანაწესთან დაკავშირებით, კერძოდ, დაინტერესდა: 1. შედის თუ არა შინაგანაწესის მოქმედების არეალში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები; თუ შედის ტექსტში უნდა აისახოს (თავი1, მუხლი 4) 2. საჭიროა კონკრეტულად მიეთითოს ვინ იგულისხმება დამხმარე პერსონალში (თავი II, მუხლ 22, პარაგ.4).

როგორც საკითხის მომხსენებელმა, იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა არჩილ კუკულავამ წერილობით განმარტა, 1. შინაგანაწესის მოქმედების არეალში ყველა სტრუქტურული ერთეული შედის (პირობითად), რადგანაც, შინაგანაწესი არა უშუალოდ სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მომწესრიგებელი, არამედ ძირითადად დასაქმებულისა და დამსაქმებლის შორის ურთიერთობისა და ამასთან დაკავშირებული საკითხების მომწესრიგებელი აქტია. მომხსენებლის განმარტებით, გარდა სხვა საკითხებისა, ის აწესრიგებს უნივერსიტეტსა და სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირებს შორის არსებულ შრომით ურთიერთობასაც. აღნიშნა, რომ ასეთი მიზნებისათვის მომზადებული დოკუმენტი სხვა მომიჯნავე საკითხებსაც შეიცავს და ბევრი საკითხის ფორმულირებისათვის არამხოლოდ დასაქმებულთა სტატუსის, არამედ გარკვეული შიდასაუნივერსიტეტო სტრუქტურული სისტემის მოხსენიებაც ხდება. ასე მაგალითად, შინაგანაწესში მოხსენიებულია „სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები“, რომლებშიც არამხოლოდ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები, არამედ დამხმარე სამეცნიერო ერთეულებიც შედის და თუ მომავალში სხვა, განსხვავებული სახის, სტატუსის, დასახელების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები შეიქმნება, შინაგანაწესი მათზეც გავრცელდება. ამ შემთხვევაში შინაგანაწესი არ არის სტრუქტურული ერთეულების სახეობის, სტატუსის, დასახელებისა თუ სხვა განმასხვავებელი ნიშნების დამდგენი აქტი, ამ ყოველივეს კანონი, წესდება და ამ სტრუქტურული ერთეულების დებულებები ზუსტად და გამიჯნულად ადგენენ, არამედ ამ სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულთა (მათი სტატუსების მიხედვით) და დამსაქმებლის (უნივერსიტეტის) შრომითი ურთიერთობებისა და მათ შორის შიდასამსახურებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი აქტია. 2. პერსონალის სახეობების მიხედვით განმარტებებს აკეთებს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ და უნივერსიტეტის წესდება. მომხსენებლის განმარტებით, წესდება ასახავს იგივე დებულებებს რასაც კანონი, სამწუხაროდ კანონშიც და თავისთავად წესებაშიც დამხმარე პერსონალის განმარტება არ არსებობს, ანუ არსებობს, როგორც დანარჩენი პერსონალი. კერძოდ, კანონმდებლობაში არსებული ჩამონათვლიდან (აკადემიური პერსონალი, სამეცნიერო, პერსონალი, ადმინისტრაციული პერსონალი და სხვ) ყველა პერსონალის სახეობა განმარტებულია, ყველა მათგანს აქვს განმარტება (ასე ვთქვათ, ვინ არის აკადემიური პერსონალი, ვინ ადმინისტრაციული და ა.შ.) და დამხმარე პერსონალს არ აქვს. აქედან გამომდინარე იგულისხმება, რომ დამხმარე პერსონალია ყველა დანარჩენი პერსონალი, რომელიც არ არის აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და სხვ.



თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა ლევან საბაურმა და ნაზირა კაკულიამ, მათ მიუთითეს 2021 წლის ბიუჯეტის დროულად დამტკიცების საჭიროებაზე. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, სენატის წევრმა ზურაბ გაიპარაშვილმა კი აღნიშნა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისთვის ის ფაქტი, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტით საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის გაზრდისთვის გათვალისწინებული მეტი თანხა, ვიდრე ეს იყო 2020 წელს, ხოლო სარემონტო სამუშაოებში გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ცენტრალური შენობაც.

**შესაბამისად, მიღებულად ჩაითვალა შემდეგი გადაწყვეტილებები:**

1.დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები წარმოდგენილი სახით (დანართი 3)

**მომხრე: 48**

**წინააღმდეგი: 1**

2. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის დებულება წარმოდგენილი სახით (დანართი 4)

**მომხრე: 48**

**წინააღმდეგი: 1**

3. დამტკიცდეს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის დებულებაში ცვლილებები წარმოდგენილი სახით. (დანართი 5)

**მომხრე: 48**

**წინააღმდეგი: 1**

4. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედია ცენტრის დებულება წარმოდგენილი სახით (დანართი 6)

**მომხრე: 48**

**წინააღმდეგი: 1**

5.

ა) დამტკიცდეს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილება წარმოდგენილი სახით (ამონაწერი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან, 2020 წლის 1 ოქტომბრის #15)

**მომხრე: 48**

**წინააღმდეგი: 1**

დანართი #7

ბ) დამტკიცდეს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებები წარმოდგენილი სახით (ამონაწერი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან, 2020 წლის 17 დეკემბრის #21)

დანართი #8

**მომხრე: 46**

**წინააღმდეგი: 1**

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს სენატის წევრებმა გიორგი ოთხმეზურმა და აპოლონ თაბუაშვილმა.

6.

ა. გაიცეს თანხმობა, ქ. თბილისი, თამარაშვილის N6-ში მდებარე, ელევთერ ანდრონიკაშვილის

სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის შენობის (საკადასტრო კოდი 01.14.03.042.137) მეორე სართულზე განთავსებული ფართის (ოთახი №220-ის ნაწილი (21მ<sup>2</sup>) და ოთახი №222 (39,03მ<sup>2</sup>), სულ 60,03 მ<sup>2</sup>) 5 წლის ვადით იჯარის ფორმით გაცემაზე, სამეცნიერო საქმიანობისათვის;

**მომხრე: 48**

**წინააღმდეგი: 1**

ბ. გაიცეს თანხმობა, ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1-ში მდებარე (საკადასტრო კოდი 01.14.14.010.030) პირველი სასწავლო კორპუსის ნულოვანი სართულის ფოიეში არსებული 2 მ<sup>2</sup> ფართის 1 წლის ვადით იჯარის ფორმით გაცემაზე, წიგნების ე.წ. „ვენდინგის აპარატის“ განთავსების მიზნით;

**მომხრე: 48**

**წინააღმდეგი: 1**

გ. გაიცეს თანხმობა, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩაზე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული 60192 მ<sup>2</sup> ფართის (საკადასტრო კოდი 01.14.06.006.115) გამიჯვნისა და 2000 მ<sup>2</sup> ფართის მიწის ნაკვეთის (ბაგების საბაგრო გზის სადგური) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემაზე.

დანართი 9

**მომხრე: 48**

**წინააღმდეგი: 1**

7. დამტკიცდეს “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზრაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის #112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თსუ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ნოემბრის #115/2020 დადგენილება (დანართი 10)

**მომხრე: 48**

**წინააღმდეგი: 1**

8. დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის #112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის #122/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თსუ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ნოემბრის #116/2020 დადგენილება (დანართი 11)

**მომხრე: 48**

**წინააღმდეგი: 1**

9. დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის #63/2018 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ თსუ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 დეკემბრის #117/2020 დადგენილება (დანართი 12)

**მომხრე: 48**

**წინააღმდეგი: 1**

10. დამტკიცდეს თსუ ზუსტ და საბუნებისმეცველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილები წარმოდგენილი სახით (დანართი 13)

**მომხრე: 48**

**წინააღმდეგი: 1**

11. დამტკიცდეს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დებულებაში ცვლილება წარმოდგენილი სახით (დანართი 14)

**მომხრე: 48**

**წინააღმდეგი: 1**

12. დამტკიცდეს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის დებულებაში ცვლილებები წარმოდგენილი სახით (დანართი 15)

მომხრე: 48

წინააღმდეგი: 1

13. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი წარმოდგენილი სახით (დანართი 16)

მომხრე: 46

წინააღმდეგი: 3

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი -

ვლადიმერ მარგველაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი -

გიორგი ჩაკვეტაძე

2020 წლის 25 დეკემბრის დისტანციური სხდომის ფორმატში (ელ.ფოსტის  
გამოყენებით) მონაწილე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

**პროფესორები:**

აბესაძე ნინო -

კაკულია ნაზირა -

საბაური ლევანი

ხოხობაია მერაბი -

**სტუდენტები:**

სახვაძე საბა -

ბერაძე თამარი -

ჯაფოშვილი გიორგი -

ლაშხი თამარი -

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

**პროფესორები:**

არჩვაძე ნათელა -

თუთბერიძე ბეჟანი -

მაჭავარიანი ლია -

გეგეჭკორი არნოლდი -

მუკბანიანი ომარი -

თავხელიძე ილია -

### იურიდიული ფაკულტეტი

#### პროფესორები:

ყალიჩავა კობა -

გარიშვილი მარინა -

თუმანიშვილი გიორგი -

#### სტუდენტები:

ჯავახიშვილი არჩილი -

მარანელი სანდრო

### მედიცინის ფაკულტეტი

#### პროფესორები:

მარგველაშვილი ვლადიმერი -

ქიტუაშვილი თინა -

### სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

#### პროფესორები:

გოგსაძე გიორგი -

ჭალაგანიძე ნინო -

#### სტუდენტები:

ბებერაშვილი ელენე -

გაბაშვილი ალექსანდრე -

ჩიტაია დაჩი -

### ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

#### პროფესორები:

ჟვანია ირინე -

ჩახუნაშვილი ნინო -

### ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

#### პროფესორები:

ლორია კახაბერი -

ბჟალავა ელისაბედი -

რუსეიშვილი მანანა -

თაბუაშვილი აპოლონი -

ოთხმეზური გიორგი -

#### სტუდენტები

კეჭერაშვილი შოთა -

ხუციშვილი დინა -

თვალაძე მარიამი -



გაიპარაშვილი ზურაბი -

სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ღარიბაშვილი ირაკლი -

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

ცეციშვილი თემური -

ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი

ახალბედაშვილი ლალი -

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

ხუციშვილი მარინე -

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნემსაძე ადა -

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

რუხაია მიხეილი -

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

ხუციშვილი სოფიო -

მაღალი ენერჯიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ლომიძე ნოდარი -

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

კაკულია ეთერი -

პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკისა და ორგ. ქიმიის ინსტიტუტი

გურგენიშვილი მარინა -

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

სუმბაძე ციური -

ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი

თამილა ჩალაძე

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს იმ წევრთა სია, რომელთაც დისტანციურად (ელ. საშუალების გამოყენებით) დაადასტურეს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად გათვალისწინებული საკითხების გაცნობის ფაქტი

წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი (25.12.2020 წ. #4)

1. გიორგი შარვაშიძე
2. ომარ ფურთუხია
3. ირინე ქურდაძე
4. ნათელა ანანიაშვილი
5. მათა მესტვირიშვილი
6. ელგუჯა მექვაბიშვილი
7. დავით გოცირიძე
8. ნინო მინდაძე
9. თემურ შენგელია
10. მანანა ხაჩიძე
11. ალექსანდრე ღონღაძე
12. ავთანდილ ამირანაშვილი
13. მამუკა ხუსკივაძე
14. მათა კობალეიშვილი
15. გაგა ლომიძე
16. ხათუნა მაისაშვილი
17. რევაზ შანიძე
18. ნიკოლოზ ავაზაშვილი
19. მარინე ზაუტაშვილი
20. თამაზ ყარალაშვილი
21. ალექსანდრე კუხიანიძე
22. ქეთევან ხუციშვილი
23. ნონა გაგნიძე
24. ავთანდილ სილაგაძე
25. პაატა იმნაძე
26. მზია წერეთელი
27. გოჩა ფერაძე
28. მარი წერეთელი
29. მურმან კვინიკაძე
30. გიორგი ღვედაშვილი
31. რამაზ ქურდაძე

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი  
და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები**

**თავი I  
ზოგადი დებულებანი**

**მუხლი 1. მიზნები**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“ ან „თსუ“ ან „დაწესებულება“) შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები (შემდგომში - „შინაგანაწესი“) განსაზღვრავს უნივერსიტეტის შრომის განაწესს, დისციპლინური პასუხისმგებლობისა და წახალისების ზომებს და მიზნად ისახავს:

- ა) შრომის დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფას;
- ბ) დაწესებულებასა და მასში დასაქმებულ პერსონალს შორის შრომითი ურთიერთობების მოწესრიგებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით;
- გ) პერსონალის უფლებებისა და თავისუფლების განხორციელების ხელშეწყობას;
- დ) შრომის სამართლიან ანაზღაურებას;
- ე) პერსონალისათვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნას;
- ვ) დაწესებულებაში ურთიერთობისას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერი ინტერესების დაცვას;
- ზ) სამსახურში ეთიკის ნორმების დაცვის უზრუნველყოფას.

**მუხლი 2. შინაგანაწესის ნორმების წყაროები**

წინამდებარე შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონი - საქართველოს შრომის კოდექსის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის სხვა მოქმედი ნორმატიული აქტებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე.

**მუხლი 3. პერსონალის მიერ შინაგანაწესის ნორმების შესრულება**

უნივერსიტეტის პერსონალი (ადმინისტრაციული, აკადემიური, სამეცნიერო, მკვლევართა, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალი, სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით მოწვეული სპეციალისტები /მოწვეული პერსონალი/) დაკავებული თანამდებობის, სპეციალობის, კვალიფიკაციის გათვალისწინებით, შრომითი ხელშეკრულების პირობების დაცვის ვალდებულების გარდა, ასევე ვალდებულია, სპეციალური მითითების გარეშე, დაიცვას წინამდებარე შინაგანაწესი, ასევე უნივერსიტეტის მიერ გამოცემული (დადებული, მიღებული) ყველა სხვა სამართლებრივი აქტი, რომელიც მის საქმიანობას (შესასრულებელ ფუნქციებს) ეხება და სამსახურებრივ ადგილს უკავშირდება.

**მუხლი 4. შინაგანაწესის მოქმედების სფერო**

1. შინაგანაწესის შესრულება სავალდებულოა თსუ-სთან შრომითსამართლებრივი ურთიერთობის მქონე ნებისმიერი პირისათვის (პერსონალისათვის).

2. შინაგანაწესის შესრულება სავალდებულოა უნივერსიტეტის სტუდენტების (წინამდებარე შინაგანაწესის მიზნებისათვის უნივერსიტეტის სტუდენტი გულისხმობს კანონმდებლობით განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტსაც) და უნივერსიტეტთან კავშირში მყოფი ან ნებისმიერი სახით დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, გარდა შინაგანაწესის იმ ნორმებისა, რომლებიც განკუთვნილია და ეხება უნივერსიტეტთან შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში მყოფ პირებს.

## თავი II

### სამუშაო და დასვენების დრო

#### მუხლი 5. სამუშაო დრო

1. სამუშაო დრო წარმოადგენს კალენდარული დროის ნაწილს, რომლის განმავლობაშიც პერსონალი ვალდებულია განახორციელოს თავისი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობანი.

2. თსუ-ში, როგორც წესი, მოქმედებს ხუთდღიანი სამუშაო კვირა - ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, გარდა წინამდებარე შინაგანაწესით დადგენილი გამონაკლისებისა.

3. ყოველდღიურად სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო (ხანგრძლივობა) განისაზღვრება 09<sup>00</sup> საათიდან 18<sup>00</sup> საათამდე (ყოველი სამუშაო კვირის პარასკევ დღეს ან საქართველოს ორგანული კანონი - საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების წინა სამუშაო დღეს - 09<sup>00</sup> საათიდან 17<sup>00</sup> საათამდე), გარდა წინამდებარე შინაგანაწესით დადგენილი გამონაკლისებისა. აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლებისათვის სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, დაკავშირებულია აუდიტორიული, საკონსულტაციო საათების ჩატარებასა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების (მათ შორის სამეცნიერო საქმიანობა) შესრულებასთან (გამოცდის ორგანიზება, გამოცდის ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება /საგამოცდო საკითხების, ბილეთების მომზადება, უფლებამოსილი პირისათვის მიწოდება და სხვ./, საგამოცდო ნაშრომების გასწორება, საგამოცდო შეფასებების მიწოდება უფლებამოსილი პირებისთვის, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების შესრულების ხელმძღვანელობა, სასწავლო ცხრილის შედგენაში მონაწილეობა, დროებით და მუდმივმოქმედ კომისიებსა და საბჭოებში (მათ შორის მართვის ორგანოები) წევრობა-მონაწილეობა და სხვა ისეთი უფლება-მოვალეობები, რაც დგინდება დაწესებულების სამართლებრივი აქტებით).

4. სასწავლო პროცესის მოთხოვნების გათვალისწინებით, პერსონალისათვის დასაშვებია 6 დღიანი სამუშაო კვირა, კვირაში არაუმეტეს 40 საათისა.

5. თსუ-სა და დაწესებულების პერსონალს შორის სამუშაო დროის ხანგრძლივობა შესაძლებელია განისაზღვროს ურთიერთშეთანხმებით, შრომის კანონმდებლობის საფუძველზე.

6. სამუშაო დღეებსა და ცვლებს (ასეთის არსებობისას) შორის დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები.

7. სამეცნიერო საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, სამეცნიერო პერსონალის სამუშაო დრო შესაძლებელია განისაზღვროს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ სამეცნიერო პერსონალთან შეთანხმებული სამუშაო გრაფიკით. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია დაიცვას მასთან შეთანხმებული სამუშაო გრაფიკი. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ სამეცნიერო პერსონალის სამუშაო გრაფიკი ყოველწლიურად და მისი ცვლილებები თუ დამატებები პერიოდულად, ამ ცვლილებებისა თუ დამატებების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მიეწოდება უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურს.

8. პერსონალი ვალდებულია მისთვის სამუშაო აღწერილობით, შრომითი ხელშეკრულებითა და უნივერსიტეტის სხვა შიდასამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ფუნქციები

(სამსახურებრივი მოვალეობები) შეასრულოს პირადად. აღნიშნული პირობის დარღვევის შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია განიხილოს შესაბამისი პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი, ხოლო პირადად შეუსრულებელი მოვალეობები ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

9. ქვეყანაში საგანგებო, საომარი ან სხვა ისეთი მდგომარეობის არსებობისას, რომელიც ზღუდავს ფიზიკურ პირთა გადაადგილებას, შეკრებას (მათ შორის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ადგილზე გამოცხადებას), ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია ბრძანებით დაარეგულიროს დასაქმებულების მიერ თავის მოვალეობათა დისტანციურად შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები.

### **მუხლი 6. დასვენების დღეები**

1. თსუ-ში დადგენილია ორი (შაბათი და კვირა) დასვენების დღე კვირაში, გარდა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. თსუ-ს პერსონალს, ასევე, უფლება აქვს დაისვენოს საქართველოს ორგანული კანონი - საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ უქმე დღეებში.

3. კონკრეტული სამუშაო დღის უქმე დღედ გამოცხადების უფლებამოსილება აქვს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ამგვარი მიზანშეწონილობის არსებობის შემთხვევაში, რაც ფორმდება მისივე ბრძანებით.

### **მუხლი 7. სამსახურში გამოცხადებისა და სამუშაო ადგილიდან წასვლის წესი**

1. სამსახურში გამოცხადებისა და სამუშაო ადგილიდან წასვლის კონტროლის მიზნით თსუ-ში მოქმედებს პერსონალის სამსახურში გამოცხადების სააღრიცხვო ელექტრონული სისტემა, რომელშიც, მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მონაცემები შეიყვანება პერსონალის მართვის დეპარტამენტის მიერ.

2. თსუ-ს პერსონალი, როგორც წესი, ვალდებულია დააფიქსიროს სამუშაოზე მისი გამოცხადებისა და სამუშაოდან გასვლის ფაქტები თსუ-ში საამისოდ გამოყოფილ ადგილას, სარეგისტრაციო აპარატის მეშვეობით. აღნიშნულის დაცვა სავალდებულოა დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობის დროსაც.

3. სარეგისტრაციო აპარატში დაფიქსირებულ მონაცემებზე კონტროლს ახორციელებს უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახური.

### **მუხლი 8. სამუშაოზე დაგვიანება**

1. სამუშაოზე დაგვიანებად მიიჩნევა პერსონალის მიერ სამუშაო დროს მასზე დაკისრებული ფუნქციის შესასრულებლად დაგვიანებით გამოცხადება. სამსახურში გამოცხადება გამოცხადების დროზე არაუმეტეს 15 წუთით გვიან მიიჩნევა ავტომატურად საპატიოდ და ამ შემთხვევაში წინამდებარე შინაგანაწესით გათვალისწინებული სანქციები გამოყენებას არ ექვემდებარება. სამუშაო დღისთვის განკუთვნილი სამუშაო საათების სრული ოდენობის განმავლობაში სამსახურის გაცდენა მიიჩნევა სამსახურში გამოუცხადებლობად.

2. სამუშაოდან სამუშაო დროის დასრულებამდე ადრე წასვლა, შესაბამისი გაცდენილი სამუშაო დროის ოდენობის გათვალისწინებით, უტოლდება სამუშაოზე დაგვიანებას და რეგულირდება სამუშაოზე დაგვიანებასთან დაკავშირებული ნორმებით და წესით (მათ შორის რეაგირების პროცედურები და ზომები).

3. პერსონალს, რომელსაც ჰყავს სკოლამდელი ან სასკოლო (დაწყებითი საფეხურის) ასაკის ბავშვი, ან შშმ/სსსმ არასრულწლოვანი შვილი, ასევე, თუ არსებობს სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, უფლება აქვს, უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით,

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, სამსახურში გამოცხადდეს დადგენილზე ნახევარი საათით გვიან, რაც მის მიერ უნდა ანაზღაურდეს სამუშაო დღის დადგენილ დროზე ნახევარი საათით გვიან დასრულების ფორმით ან შესვენების ნახევარი საათით გვიან დაწყების/ადრე დასრულების პერიოდით.

4. სისტემატურ დაგვიანებად და სისტემატურ გაცდენად ჩაითვლება პერსონალის მიერ სრული კალენდარული თვის განმავლობაში 5-ზე მეტჯერ სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადება, ერთი კალენდარული თვის განმავლობაში 3-ზე მეტჯერ გაცდენა, რაც მიჩნეული იქნება არასაპატიოდ და ავტომატურად იწვევს დამრღვევი პირის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყებას.

### **მუხლი 9. პერსონალის მიერ გაცდენილი სამუშაო დროის ანალიზი და რეაგირების პროცედურები**

1. დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული ყოველი თვის არაუგვიანეს 10 რიცხვისა, ახდენს სარეგისტრაციო აპარატის მონაცემების ანალიზს და მიღებული მასალების შეჯამების შედეგებს გაცდენილი სამუშაო საათების შესახებ წარუდგენს შესაბამისად რექტორს და/ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, შემდგომი რეაგირებისათვის.

2. სამუშაოზე სისტემატური დაგვიანების ან/და სამუშაოს სისტემატური გაცდენის შემთხვევის დადასტურების შემთხვევაში, რექტორი ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია გამოიყენოს წინამდებარე შინაგანაწესით დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, ამავე შინაგანაწესით დადგენილი წესით.

3. სამუშაოზე სისტემატურ დაგვიანებად და სამუშაოს სისტემატურ გაცდენად არ ჩაითვლება პერსონალის მიერ სამუშაო დროს სამსახურებრივი მოვალეობების უნივერსიტეტის ტერიტორიის გარეთ შესრულება, რაც გამოწვეული იყო შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირს მისი უშუალო ხელმძღვანელისაგან მიღებული ჰქონდა ამის გამომრიცხავი სხვა დავალება. პერსონალი ინფორმაციას სამუშაო დროს სამსახურებრივი მოვალეობების თსუ-ს სივრცის გარეთ შესრულების შესახებ მის უშუალო ხელმძღვანელს წარუდგენს მოთხოვნის შემთხვევაში წერილობით (მათ შორის ამ მიზნით შესაძლებელია სამსახურებრივი ელ. ფოსტის გამოყენება).

4. გაცდენილი სამუშაო დრო (ანაზღაურების დაქვითვის მიზნებისათვის გაცდენილ დროდ მიიჩნევა სისტემატური დაგვიანება, სისტემატური გაცდენა - წინამდებარე შინაგანაწესის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ რაოდენობებზე ზევით გაცდენილი სამუშაო დრო), ანაზღაურებას არ ექვემდებარება და იწვევს პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის წარმოების დაწყებას. გაცდენილი სამუშაო დროის დათვლა ხორციელდება ნახევარ ასტრონომიულ საათზე დამრგვალებით.

### **მუხლი 10. სამსახურებრივი მოვალეობებისაგან დროებით გათავისუფლება (day off)**

1. პერსონალს, რომლის სამუშაო დრო განისაზღვრება 09<sup>00</sup> საათიდან 18<sup>00</sup> საათამდე (ყოველი სამუშაო კვირის პარასკევ დღეს - 09<sup>00</sup> საათიდან 17<sup>00</sup> საათამდე) უფლება აქვს კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 6 დღით ისარგებლოს სამსახურებრივი მოვალეობებისაგან დროებით გათავისუფლების უფლებით (შესაბამისი მიზეზის/მიზეზების გარეშე).

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული უფლებით სარგებლობის მიზნით, პერსონალი ვალდებულია წერილობით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დადგენილი ფორმის შევსების საფუძველზე მიმართოს მის უშუალო ხელმძღვანელს სამსახურებრივი მოვალეობებისაგან დროებით გათავისუფლების თხოვნით.

3. სამსახურებრივი მოვალეობებისაგან დროებით გათავისუფლების თხოვნის ფორმაში მითითებული უნდა იქნას შესაბამისი უშუალო ხელმძღვანელის სახელი და გვარი, სტრუქტურული ერთეულის სრული დასახელება, სამსახურებრივი მოვალეობებისაგან დროებით გათავისუფლების თარიღი, სამსახურებრივი მოვალეობებისაგან დროებით გათავისუფლების მომთხოვნის სახელი, გვარი და თანამდებობის სრული დასახელება, სამსახურებრივი მოვალეობებისაგან დროებით გათავისუფლების მომთხოვნის ხელმოწერა და თარიღი.

4. სამსახურებრივი მოვალეობებისაგან დროებით გათავისუფლების წერილობითი თხოვნა ექვემდებარება დაკმაყოფილებას ავტომატურად ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ოდენობის ფარგლებში.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით შევსებული ფორმა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ დაუყოვნებლივ ეგზავნება პერსონალის მართვის დეპარტამენტსა და შიდა აუდიტის სამსახურს, ხოლო კონტროლი წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული პირობების დაცვაზე და სამსახურებრივი მოვალეობებისაგან დროებით გათავისუფლების ოდენობის გამოყენებულ/გამოსაყენებელ დღეებზე ევალება უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურს.

6. იმ შემთხვევაში, თუ პერსონალს სურს ისარგებლოს სამსახურებრივი მოვალეობებისაგან დროებით გათავისუფლების უფლებით სამსახურში გამოცხადების გარეშე, შესაბამისი თხოვნა (შეტყობინება, რომელიც ეძლევა მის უშუალო ხელმძღვანელს სამსახურებრივი ელ. ფოსტის ან ტელეფონის მეშვეობით) ექვემდებარება დაკმაყოფილებას, ამავე დროს იგი ვალდებულია სამსახურში გამოცხადებისთანავე შეავსოს და წარადგინოს წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ფორმა, რაც იწვევს წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ყველა სხვა პროცედურის განხორციელების ვალდებულებას.

7. სამსახურებრივი მოვალეობებისაგან დროებით გათავისუფლების უფლების გამოყენება ერთ ჯერზე არ შეიძლება აღემატებოდეს ერთ სამუშაო დღეს და ამ უფლებით სამსახურებრივი მივლინების დროს სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ობიექტური მიზეზის არსებობის და ამ მიზეზის ამ მუხლით გათვალისწინებულ ფორმაში მითითებით (საჭიროების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ასევე წინამდებარე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების გამოყენება).

8. წინამდებარე მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელსა და რექტორზე.

### **მუხლი 11. სამუშაოზე გამოუცხადებლობისა და სამუშაოს გაცდენის შედეგები**

სამუშაოზე გამოუცხადებლობა და სამუშაოს გაცდენა განიხილება შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევად, რასაც დაწესებულების მხრიდან შესაძლებელია მოყვეს შინაგანაწესით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე შინაგანაწესით დადგენილი წესით.

### **მუხლი 12. აკადემიური პერსონალის, მასწავლებლებისა და მოწვეული პერსონალის სამსახურში გამოცხადების რეგულირების წესები და გამოუცხადებლობის შედეგები**

1. გარდა უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული, შესასრულებელი სხვა ვალდებულებებისა, აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი და მოწვეული პერსონალი საათობრივ დატვირთვას ასრულებს - სასწავლო პროცესს წარმართავს შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულის მიერ დადგენილი მეცადინეობის „ცხრილის“ და „საკონსულტაციო საათების ცხრილის“ შესაბამისად. აკადემიური პერსონალის, მასწავლებლის და მოწვეული პერსონალის მიერ აღნიშნული ცხრილით დადგენილი სამუშაო



გრაფიკის ერთჯერადი, ან გარკვეული პერიოდით შეცვლა დასაშვებია საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

2. აკადემიური პერსონალის, მასწავლებლის, მოწვეული პერსონალის მიერ სალექციო/პრაქტიკული/ლაბორატორიული და სხვა სააუდიტორიო საათის (საათი) გაცდენის თითოეულ ფაქტზე დაწესებულების უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი ადგენს წერილობით დოკუმენტს, რომელშიც ფიქსირდება გამცდენის სახელი და გვარი, საგანმანათლებლო ერთეულის დასახელება, გაცდენილი საათი. წერილობითი დოკუმენტის ჩანაწერის სისწორე შესაძლებელია ასევე დასტურდებოდეს შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელის ან სხვა უფლებამოსილი პირის, ან თსუ-ს სხვა თანამშრომლის ხელმოწერით.

3. უნივერსიტეტის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის საფუძველზე, აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი, მოწვეული პერსონალი ვალდებულია მოთხოვნიდან ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს განმარტება საათის გაცდენის მიზეზების შესახებ, ხოლო შესაბამისი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული - ამ საათის აღდგენის მიზნით გატარებულ ღონისძიებათა შესახებ.

4. აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი, მოწვეული პერსონალი ვალდებულია უზრუნველყოს თითოეული საპატიო მიზეზით გაცდენილი საათის აღდგენა მიმდინარე სემესტრის განმავლობაში. აღნიშნული პირობის შეუსრულებლობა წარმოადგენს შეუსრულებელი ვალდებულების გამო ანაზღაურების შესაბამისი ოდენობის დაქვითვისა და დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველს, რასაც დაწესებულების მხრიდან ასევე შესაძლებელია მოყვეს შინაგანაწესით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე შინაგანაწესით დადგენილი წესით.

5. აკადემიური პერსონალის, მასწავლებლის, მოწვეული პერსონალის მიერ შესაბამისი საათის არასაპატიო მიზეზით გაცდენა განიხილება შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევად და უნივერსიტეტი უფლებამოსილია ამ მიზეზით განიხილოს შესაბამისი პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი, ამასთან, აღნიშნულ შემთხვევაში შესაბამისი პერსონალი ვალდებულია უზრუნველყოს თითოეული გაცდენილი საათის აღდგენა მიმდინარე სემესტრის განმავლობაში. აღნიშნული პირობის შეუსრულებლობა წარმოადგენს შეუსრულებელი ვალდებულების გამო ანაზღაურების შესაბამისი ოდენობის დაქვითვისა და დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველს, რასაც დაწესებულების მხრიდან შესაძლებელია მოყვეს შინაგანაწესით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე შინაგანაწესით დადგენილი წესით.

6. სასწავლო ცხრილით გათვალისწინებულ საათებში სტუდენტთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში, აკადემიური პერსონალის, მასწავლებლის, მოწვეული პერსონალის მიერ შესაბამისი საათის გაცდენა ჩაითვლება საპატიოდ, თუ ის შესაბამისი სალექციო/პრაქტიკული/ლაბორატორიული კურსის პირველი 20 წუთი იმყოფებოდა აუდიტორიაში.

### **მუხლი 13. ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების პირობები და ღამით მუშაობის შეზღუდვა**

1. დაწესებულების პერსონალი ვალდებულია შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და პირობებში.

2. ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტსა და ამ სამუშაოს შემსრულებელ პერსონალს შორის ნებისმიერი წერილობითი ფორმით მიღწეული შეთანხმებით, რაც ფორმდება ზეგანაკვეთური სამუშაოს დაწყებამდე ან მიმდინარეობისას, მაგრამ არაუგვიანეს ამ სახის სამუშაოს

დასრულებისა. ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

3. ღამით მუშაობის შეზღუდვის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

#### **მუხლი 14. შესვენების დრო**

1. პერსონალს უფლება აქვს სამუშაო დღის განმავლობაში ისარგებლოს შესვენებით.
2. სამუშაო დღის განმავლობაში შესვენების დროა 13<sup>00</sup> საათიდან 14<sup>00</sup> საათამდე.
3. შესვენებას პერსონალი იყენებს თავისი ნება-სურვილის შესაბამისად. დროის ამ შუალედში მას ეძლევა სამუშაოს შესრულების ადგილიდან წასვლის უფლება.

#### **მუხლი 15. დამატებითი შესვენება მეძუძური ქალისთვის**

1. პერსონალს, რომელიც მეძუძური ქალია და კვებავს 1 წლამდე ასაკის ბავშვს, მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა დამატებითი შესვენება დღეში არანაკლებ 1 საათისა, რაც ფორმდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.
2. ბავშვის კვებისათვის შესვენება ითვლება სამუშაო დროში და ანაზღაურდება.

#### **მუხლი 16. შვებულება**

1. უნივერსიტეტის პერსონალს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით - წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით.
2. უნივერსიტეტის პერსონალს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებისგარეშე შვებულებით - წელიწადში სულ მცირე 15 კალენდარული დღით.
3. მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიან სამუშაოზე მომუშავე დასაქმებულს ეძლევა დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება – წელიწადში 10 კალენდარული დღე.
4. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო და ბავშვის მოვლის გამო შვებულების მიცემის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით. ამასთან ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო და ბავშვის მოვლის გამო შვებულება ანაზღაურდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ გასაცემი კანონმდებლობით დადგენილი თანხის ოდენობის შრომის ანაზღაურების ექვსმაგ ოდენობამდე შევსების პრინციპით და უნივერსიტეტის მიერ შესაბამისი თანხის ოდენობის ერთჯერადი გაცემის გზით (ძალაშია 2021 წლის 1 იანვრიდან).
5. შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს ამ თავით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ვადები და პირობები, რომლებიც აუშჯობებს პერსონალის მდგომარეობას.

#### **მუხლი 17. შვებულების მიცემის წესი**

1. თსუ-ს პერსონალს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის თერთმეტი თვის შემდეგ. პერსონალს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამდეც.
2. შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის გამოსათვლელ ვადაში ითვლება პერსონალის მიერ ფაქტობრივად ნამუშევარი, აგრეთვე თსუ-ს ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დრო. შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის გამოსათვლელ ვადაში არ ითვლება პერსონალის მიერ სამუშაოს არასაკატიო მიზეზით გაცდენის დრო.

3. მუშაობის მეორე წლიდან თსუ-ს პერსონალს, მხარეთა შეთანხმებით, შვებულება შეიძლება მიეცეს სამუშაო წლის ნებისმიერ დროს, დაწესებულებასთან შეთანხმებით. მხარეთა შეთანხმებით ასევე შეიძლება შვებულების ნაწილ-ნაწილ გამოყენება.

4. შვებულებაში არ ითვლება დროებითი შრომისუუნარობის პერიოდი.

5. თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, თსუ უფლებამოსილია დაადგინოს პერსონალისათვის წლის განმავლობაში ანაზღაურებად შვებულებათა მიცემის რიგითობა.

6. კუთვნილი შვებულების მოთხოვნა ხდება პერსონალის მიერ საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, ხოლო მასზე წვდომის არარსებობის შემთხვევაში წერილობითი განცხადების უნივერსიტეტის კანცელარიაში რეგისტრაციის გზით. განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს შვებულების სახე (ანაზღაურებადი, ანაზღაურებისგარეშე ან სხვა), პერიოდი (საშვებულებო დღეების ოდენობა) და შვებულებაში გასვლისა და შვებულებიდან დაბრუნების თარიღები.

7. განცხადება შვებულების მოთხოვნის თაობაზე საკანცელარიო წესით რეგისტრირებული უნდა იქნას არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე შვებულებაში გასვლის სასურველი თარიღის დადგომამდე და მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში გამოიცემა დაწესებულების სამართლებრივი აქტი.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში დაწესებულება უფლებამოსილია დააკმაყოფილოს განცხადების მოთხოვნა, მაგრამ არაუგვიანეს შვებულების ვადის გასვლისა გამოსცეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი, მხოლოდ იმ პირობით თუ დასაქმებულის მოთხოვნა დაკმაყოფილებული იყო უფლებამოსილი პირის მიერ (რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი).

9. ანაზღაურებისგარეშე შვებულების მოთხოვნისას პერსონალი ვალდებულია 2 კვირით ადრე გააფრთხილოს დაწესებულება შვებულების მიღების სურვილის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილება შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო, ან ოჯახური პირობების გამო. ამ შემთხვევაში შვებულების მოთხოვნის შესახებ განცხადებაში უნდა მიეთითოს შესაბამისი მიზეზი.

10. ანაზღაურებადი და ანაზღაურებისგარეშე შვებულების ერთდროულად მოთხოვნისა და ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, დაწესებულების შესაბამის სამართლებრივ აქტში შვებულების ანაზღაურებადი და არანაზღაურებადი ნაწილების გამოიჯვნა სავალდებულოა.

11. პერსონალი ვალდებულია შვებულებაში გასვლამდე უზრუნველყოს მასთან არსებული სამსახურებრივი ხასიათის დოკუმენტაციის (ასევე მომზადებული პროექტების ელ. ვერსიები, მათი ადგილმდებარეობის მითითებით) გადაცემა მისი შემცვლელი პირის, ან ზემდგომი თანამდებობის პირისათვის.

### **მუხლი 18. ანაზღაურებადი შვებულების გადატანის გამონაკლისი შემთხვევები**

1. თუ პერსონალისათვის მიმდინარე წელს ანაზღაურებადი შვებულების მიცემამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სამუშაოს ნორმალურ მიმდინარეობაზე, შვებულების მოთხოვნისას მომთხოვნი პერსონალის თანხმობით, დასაშვებია მხოლოდ მიმდინარე კონკრეტული წლის შვებულების (ან მისი ნაწილის) გადატანა მომდევნო წლისათვის. აკრძალულია ამ პუნქტში აღნიშნული ანაზღაურებადი შვებულების გადატანა ზედიზედ 2 წლის განმავლობაში.

2. აკრძალულია არასრულწლოვნის ანაზღაურებადი შვებულების გადატანა მომდევნო წლისათვის.

3. იმ შემთხვევაში თუ პერსონალს აქვს როგორც მიმდინარე ისე წინა კალენდარული წლის ანაზღაურებადი შვებულებით (ან მისი დარჩენილი ნაწილით) სარგებლობის უფლება,

ანაზღაურებადი შვებულების მოხონის დაკმაყოფილების შემთხვევაში მას პირველ ყოვლისა ეძლევა მიმდინარე კალენდარული წლის შვებულებით სარგებლობის უფლება.

### **მუხლი 19. საშვებულებო ანაზღაურება**

1. პერსონალის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შესაბამისი პერსონალის მიერ ნებისმიერი სახით მიღებული შრომის ანაზღაურების, შვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან.

2. თუ მუშაობის დაწყებიდან, ან უკანასკნელი შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო 3 თვეზე ნაკლებია პერსონალის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო ყოველთვიური ფიქსირებული ანაზღაურების შემთხვევაში – ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით.

### **მუხლი 20. შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლა**

თსუ-ს უფლება აქვს პერსონალისათვის შეტყობინების გზით შეცვალოს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ისეთი გარემოებები, რითაც არ იცვლება ხელშეკრულების არსებითი პირობები. შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

### **მუხლი 21. პერსონალის მივლინება**

1. თსუ (დაწესებულების სახელით დამსაქმებლის სტატუსით მოქმედი თანამდებობის პირი) უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დაწესებულებისა და მისავლინებელი პირის მიერ შესასრულებელი სამუშაოს ინტერესებიდან გამომდინარე პერსონალისათვის სამუშაო ადგილის დროებით შეცვლის შესახებ (მივლინება). პერსონალის მივლინება ფორმდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

2. პერსონალისათვის მივლინებაში შესასრულებელი სამუშაო უნდა შეესაბამებოდეს მის მიერ დაკავებული თანამდებობით და შრომითი ხელშეკრულებით, ასევე დაწესებულების მიერ მისთვის სხვა წერილობითი ფორმით განსაზღვრულ ფუნქციებს - შესასრულებელი სამუშაოს სახეობას და თემატიკას.

3. დაწესებულებისა და შესასრულებელი სამუშაოს ინტერესებიდან გამომდინარე მივლინების გადაწყვეტილება შესაძლებელია ინიცირებული იყოს თსუ-ის პერსონალის მიერ წერილობითი სახით (სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის შუამდგომლობით), რისი გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირის მხრიდან გაზიარების (დაკმაყოფილების) შემთხვევაშიც მის მიერ გამოიცემა სამართლებრივი აქტი მივლინების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. უნივერსიტეტის რექტორისა ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მივლინებისას წერილობით ინიციატივას დადგენილი წესით წარადგენს უნივერსიტეტის რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე/ მრჩეველი/თანაშემწე ან რომელიმე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, მათივე დავალებით.

4. მივლინების შესახებ, ინიციატივა აუცილებლად უნდა იყოს წარდგენილი ქვეყნის შიგნით მივლინებაზე არაუგვიანეს მივლინების დაწყებისა 3 სამუშაო დღით ადრე მაინც, ხოლო საზღვარგარეთ მივლინებისას - 5 სამუშაო დღით ადრე მაინც. მივლინების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტი გამოიცემა შესაბამისი ხელმძღვანელი პირის მიერ ინიციატივის დაკმაყოფილებისა და ამ პუნქტით დადგენილი ვადების დაცვის შემთხვევაში.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში დაწესებულება უფლებამოსილია დააკმაყოფილოს წერილობითი ინიციატივა, მაგრამ არაუგვიანეს მივლინების ვადის გასვლისა გამოსცეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი, მხოლოდ იმ პირობით თუ ინიციატორის მიერ დასმული წინადადება შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამომცემის მიერ დაკმაყოფილებული იყო მივლინების ვადის დინების დაწყებამდე.

6. პერსონალი ვალდებულია მივლინებაში გამგზავრებამდე უზრუნველყოს მასთან არსებული სამსახურებრივი ხასიათის დოკუმენტაციის (ასევე მომზადებული პროექტების ელ. ვერსიები, მათი ადგილმდებარეობის მითითებით) გადაცემა მისი შემცვლელი პირის, ან ზემდგომი თანამდებობის პირისათვის.

7. თსუ-ს რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილნი არიან დაამტკიცონ პერსონალის საზღვარგარეთ მივლინების წესი და პირობები, რომლებითაც შესაძლებელია განისაზღვროს წინამდებარე შინაგანაწესისაგან განსხვავებული პირობები.

## **მუხლი 22. პერსონალის ატესტაცია**

1. უნივერსიტეტის პერსონალი ექვემდებარება კანონმდებლობით ან/და უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით სავალდებულო ატესტაციას.

2. მოქმედი კანონმდებლობით ატესტაცია სავალდებულოა უვადო და 10 წლის ვადით კონკურსის საფუძველზე მიღებული პროფესორებისა და მთავარი მეცნიერი თანამშრომლებისათვის. ამ მიზნით ატესტაციის ჩატარების ერთიან წესსა და პირობებს ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისა, აკადემიური, სამეცნიერო, მკვლევართა პერსონალის ატესტაციის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი, რა მიზნითაც რექტორის ბრძანებით მტკიცდება ატესტაციის ჩატარების წესი და პირობები.

4. ადმინისტრაციული პერსონალის (გარდა იმ ადმინისტრაციული პერსონალისა, რომლის სამსახურში მისაღებად კონკურსის/არჩევნების პროცედურა კანონმდებლობითაა გათვალისწინებული), ასევე დამხმარე და მასწავლებელთა პერსონალის ატესტაციის გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რა მიზნითაც მისივე ბრძანებით მტკიცდება ატესტაციის ჩატარების წესი და პირობები.

5. ატესტაცია ტარდება დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან პერსონალის სამსახურებრივი საქმიანობის, პროფესიული უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობების და პიროვნული თვისებების შესაბამისობის შეფასების მიზნით.

6. ატესტაცია შესაძლებელია საფუძვლად დაედოს პერსონალთან (დასაქმებულთან) არსებული (მოქმედი) შრომითი ხელშეკრულების როგორც არაარსებითი, ისე არსებითი პირობების ცვლილებას (თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე, შრომის ანაზღაურების ოდენობა და სხვ.), სამსახურიდან გათავისუფლებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **თავი III**

### **პერსონალის უფლებები**

#### **მუხლი 23. შეღავათები**

უნივერსიტეტში დასაქმებულ ორსულებსა და მეძუძურ ქალებს, პირებს, რომლებსაც ჰყავთ 3 წლამდე შვილი ან პირებს, რომლებიც სამუშაოს უთავსებენ სწავლას და სხვა კატეგორიის პერსონალს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ, მათივე წერილობითი და დასაბუთებული

განცხადების საფუძველზე, შესაძლებელია, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, მიეცეთ შინაგანაწესისგან განსხვავებული ან/და შეღავათიანი სამუშაო დღის რეჟიმით სარგებლობის უფლება.

#### **მუხლი 24. გაფიცვისა და ლოკაუტის უფლება**

1. გაფიცვისა და ლოკაუტის უფლება აღიარებულია. მისი განხორციელების წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

2. თსუ-ს პერსონალის მონაწილეობა გაფიცვაში ან ლოკაუტში არ განიხილება, როგორც შრომის დისციპლინის დარღვევა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

#### **მუხლი 25. უფლებათა ფარგლები**

პერსონალი, გარდა ამ შინაგანაწესით გათვალისწინებული შრომითი უფლებებისა, სარგებლობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დასაქმებულისათვის განსაზღვრული სხვა უფლებებით.

### **თავი IV**

#### **პერსონალის მიერ ეთიკური და ზნეობრივი ნორმების დაცვის ვალდებულება**

#### **მუხლი 26. პერსონალის ვალდებულებები ეთიკური და ზნეობრივი ნორმების დაცვის სფეროში, კოლეგიალობა**

1. პერსონალი ვალდებულია პატივი სცეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებს და ღირსებებს.

2. პერსონალისათვის დაუშვებელია ზოგადზნეობრივი ნორმების დამრღვევი ან პერსონალისა და თსუ-ს დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება), განურჩევლად იმისა, სად არის იგი ჩადენილი.

3. დაუშვებელია სამუშაო ადგილზე ალკოჰოლური და ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში გამოცხადება.

4. შრომითი ურთიერთობებისას დაუშვებელია:

ა) პირის შევიწროება – სქესის ნიშნით პირის დევნა, იძულება ან/და პირის მიმართ არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას;

ბ) სექსუალური შევიწროება – სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

5. დასაქმებისას და შრომითი მოვალეობების შესრულებისას დასაშვებია სქესის ნიშნით პირთა არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება ან/და მათთვის უპირატესობის მინიჭება, რაც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.

6. უნივერსიტეტის სივრცეში თამბაქოს მოხმარება რეგულირდება „საქართველოში თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა ნორმატიული აქტებისა და

უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტების საფუძველზე. ზემოხსენებული აქტებით დაწესებული შეზღუდვის დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობისა და თსუ-ში დადგენილი წესის შესაბამისად.

7. მოქალაქეებთან და თანამშრომლებთან ურთიერთობისას პერსონალი ვალდებულია დაიცვას ეთიკური და ზნეობრივი ნორმები, გააცნოს საკუთარი თავი და დაკავებული თანამდებობა, იყოს ყურადღებიანი და ზრდილობიანი.

8. თსუ-ს პერსონალი ვალდებულია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მის ზემდგომ, ან ქვემდგომ თანამდებობის პირს, თანამშრომელს, მის ხელთ არსებული საშუალებებით აღმოუჩინოს აუცილებელი დახმარება სამსახურებრივ საკითხებზე, თუ ამ თანამშრომელს:

ა) არ შეუძლია თვითონ განახორციელოს მოქმედება სამართლებრივი, ან ფაქტობრივი მიზეზების გამო;

ბ) არ გააჩნია მოქმედების შესასრულებლად აუცილებელი ფაქტების შესახებ საკმარისი ინფორმაცია და ამ ინფორმაციას ფლობს თანამშრომელი, რომელსაც მან მიმართა;

გ) დოკუმენტები ან სხვა რაიმე მტკიცებულება, რომელიც აუცილებელია საკითხის გადასაწყვეტად, იმყოფება თანამშრომელთან, რომელსაც მან მიმართა;

დ) მოქმედების საკუთარი საშუალებით შესრულებისათვის აუცილებელი ხარჯები არსებითად აღემატება იმ თანამშრომლის მიერ დახმარების აღმოჩენისათვის გასაწევ ხარჯებს, რომელსაც მან მიმართა.

9. პერსონალს, რომელიც შრომითი ვალდებულებების გამო მოვალეა უფასოდ გასწიოს სამსახური, მიიღოს გადაწყვეტილება, ან შეასრულოს რაიმე მოქმედება, უფლება არა აქვს ამისათვის მიიღოს, ან მოითხოვოს ანაზღაურება ან დაწესებულების მიერ დაწესებული კონკრეტულ ანაზღაურებაზე მეტი ოდენობის ანაზღაურება, ქონებრივი, ან სხვა სახით, გარდა თანამდებობრივი სარგოსი და მისთვის დაწესებულების მიერ უკვე განსაზღვრული კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების სხვა სახეობისა.

10. პერსონალი ვალდებულია, როგორც სამსახურებრივი ურთიერთობებისას, ისე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, არ გაავრცელოს, ან არასამსახურებრივი მიზნებისათვის არ გამოიყენოს სახელმწიფო, კომერციული და პირადი საიდუმლოება, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით.

11. პერსონალს აგრეთვე მოეთხოვება დაიცვას სხვა შეზღუდვები, რომლებიც შინაგანაწესში არ არის მოხსენიებული, მაგრამ გათვალისწინებულია დაწესებულების სხვა სამართლებრივი აქტებით.

12. დაწესებულება უფლებამოსილია დაადგინოს ეთიკის ნორმები ცალკე აქტით (ეთიკის კოდექსი და სხვ.), ასევე ცალკე აქტით დაადგინოს ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულება (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და პედაგოგიური ეთიკის) და მათი დარღვევიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგები. დაწესებულების მიერ ეთიკის სფეროში მიღებული სამართლებრივი აქტი უტოლდება შინაგანაწესს, წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილსა და მისი ნორმების დარღვევა შინაგანაწესის ნორმების დარღვევის ტოლფასია. ეთიკის სფეროში ცალკე სამართლებრივი აქტის არსებობის შემთხვევაში, მისი ნორმების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა დგება შინაგანაწესით დადგენილი წესითა და პროცედურებით, თუ თავად ამ აქტის მიერ სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

## თავი V

**პერსონალისა და სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობა, პერსონალის  
სამსახურიდან გათავისუფლება (შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა) და სტუდენტის სტატუსის  
შეწყვეტა, პერსონალის სამსახურებრივი წახალისება**

**მუხლი 27. უნივერსიტეტის პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობა**

1. უნივერსიტეტის პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს წინამდებარე შინაგანაწესით, შრომითი ხელშეკრულებით, ეთიკის კოდექსით, ასევე შრომის დისციპლინის დაცვისა და ეთიკის სფეროში უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სხვა აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნათა, ასევე მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დადასტურებული დარღვევა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის არსებობა წარმოადგენს პერსონალის სამსახურიდან გათავისუფლებისა ან მისთვის სხვა დისციპლინური სახდელის შეფარდების საფუძველს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის უნივერსიტეტი უფლებამოსილია პერსონალის მიმართ გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები (დისციპლინური სახდელი):

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) გაფრთხილება;

დ) უფრო დაბალ თანამდებობაზე ან უფრო დაბალ თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა (უწყვეტად არა უმეტეს ექვსი თვისა);

ე) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.

4. დისციპლინური სახდელის დადებისას გაითვალისწინება პერსონალის მიერ ჩადენილი დარღვევის სიმძიმე, ხასიათი, მისი ჩადენის გარემოებები, მისი ბრალეულობის წილი, პერსონალის წინანდელი მუშაობა და ყოფაქცევა. დისციპლინური სახდელი უნდა იყოს ჩადენილი დარღვევის ადეკვატური, ხაზს უსვამდეს ჩადენილი დარღვევისათვის მისი შეფარდების სამართლიანობას.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის არსებობის შესწავლისა და რეაგირებისათვის დაწესებულების რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ იქმნება შესაბამისი დისციპლინური კომისია. კომისიის შექმნის, დაკომპლექტებისა და საქმიანობის წესი მტკიცდება რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ცალკე სამართლებრივი აქტით.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კომისია, მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და სამართლებრივი აქტებით, წინამდებარე შინაგანაწესითა და რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ცალკე სამართლებრივი აქტით დადგენილი კომისიის საქმიანობის წესით განსაზღვრული გზით განიხილავს პერსონალის პასუხისმგებლობის საკითხს, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

ა) უნივერსიტეტის უფლებამოსილი თანამდებობის პირის ან უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ გამოვლენილია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დარღვევა და მასთან დაკავშირებული გარემოებები და ამ დარღვევის ჩამდენი პერსონალი - პირი/პირები (დარღვევის გამოვლენა, რაც ნიშნავს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დარღვევის და მასთან დაკავშირებული გარემოებების და ამ დარღვევის სავარაუდო ჩამდენი პერსონალის დადგენას);

ბ) დაწესებულების მიერ მიღებულია გადაწყვეტილება საკითხის შესაბამისი დისციპლინური კომისიისათვის გადაცემის მიზანშეწონილობის შესახებ.



7. დარღვევის გამოვლენის მიზნით უნივერსიტეტის შესაბამის პერსონალს - პირს/პირებს (შესაძლო დამრღვევს), დაწესებულების უფლებამოსილი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ერთეულის მიერ უნდა ჩამოერთვას ახსნა-განმარტება. ახსნა-განმარტების მიცემა სავალდებულოა და მის მიცემაზე უარის თქმა განიხილება შინაგანაწესის მოთხოვნათა ცალკე დარღვევად.

8. დისციპლინური სახდელის გამოყენება ხდება რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტით (საკითხი თუ ვინ არის უფლებამოსილი სახდელის გამოყენებაზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი სამართლებრივი აქტით) დისციპლინური კომისიის დასკვნის (რეკომენდაციის) საფუძველზე.

9. იმ პირის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენება, რომელთანაც შეჩერებულია შრომითი ურთიერთობები (შვებულება, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა-შრომისუუნარობა და სხვა) ან რომელიც იმყოფება მივლინებაში, ხდება სამსახურში გამოცხადების შემდგომ.

10. დაწესებულება უფლებამოსილია დისციპლინური სახდელი გამოიყენოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის დარღვევის გამოვლენიდან არაუგვიანეს 3 თვისა, თუმცა არაუმეტეს შესაბამისი დისციპლინური კომისიის დასკვნის ოფიციალურად რეგისტრაციიდან ერთი თვისა. აღნიშნულ ვადებში არ ჩაითვლება ვადა, რომლის განმავლობაშიც დამრღვევთან შეჩერებულია შრომითი ურთიერთობები (შვებულება, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა-შრომისუუნარობა და სხვა) ან თუ იგი იმყოფება მივლინებაში.

11. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთი დისციპლინური სახდელი.

12. დისციპლინური სახდელის გამოყენება ერთი და იმავე პირის მიმართ ხდება დადგენილი იერარქიის მიხედვით - ზრდადობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომდევნო დარღვევისათვის ზრდადობით გამოსაყენებელი სახდელი არ იქნება ჩადენილი დარღვევის ადეკვატური და ხაზს ვერ გაუსვამს ჩადენილი დარღვევისათვის მისი შეფარდების სამართლიანობას. ამ შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას იგივე ან სახდელი იერარქიაში კლებადობით.

13. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ (დისციპლინური სახდელის გამოყენების შესახებ) სამართლებრივი აქტი დანტერესებულ პირს/პირებს გადაეცემათ კანონმდებლობით დადგენილი წესით პირადად, ან ეგზავნებათ ფოსტით საცხოვრებელ მისამართზე.

14. თუ დისციპლინური სახდელის გამოყენების დღიდან ერთი წლის განმავლობაში პერსონალის მიმართ გამოყენებული არ იქნება ახალი დისციპლინური სახდელი, იგი ჩაითვლება ისეთ პირად, რომლის მიმართ დისციპლინური სახდელი გამოყენებული არ ყოფილა.

15. თუ დისციპლინური სახდელის გამოყენების შემდგომ პერსონალი 1 (ერთი) წლის გასვლამდე არ ჩაიდენს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დარღვევას და, ამასთან, თავს გამოიჩენს, როგორც კარგი და კეთილსინდისიერი მუშაკი, მას შეიძლება მოეხსნას დისციპლინური სახდელი, უშუალოდ ხელმძღვანელის ან თანამშრომელთა შუამდგომლობით, დისციპლინური სახდელის გამოყენების ტოლფასი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, დისციპლინური კომისიის თანხმობით.

16. პერსონალის მიმართ, რომელსაც უკავია არჩევითი თანამდებობა, დისციპლინური სახდელი - შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა შეიძლება გამოყენებულ იყოს მხოლოდ მათი ამრჩევი ორგანოს გადაწყვეტილებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლით.

17. ერთი კალენდარული წლის განმავლობაში პირის მიმართ 2 დისციპლინური სახდელის გამოყენება წარმოადგენს მისთვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

## **მუხლი 28. შრომითი ურთიერთობის შეჩერება, სამსახურიდან გათავისუფლება (შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა)**

1. შრომითი ურთიერთობების შეჩერების საფუძვლები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით და ამ საფუძვლების არსებობის შესახებ პერსონალის მიერ დაწესებულებისათვის ოფიციალური ცნობება იწვევს შრომითი ურთიერთობების ავტომატურ შეჩერებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აუცილებელია დაწესებულების ოფიციალური თანხმობა (შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო, კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული გადამზადება ან სწავლა, რომლის ხანგრძლივობაც წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს, ანაზღაურებისგარეშე შვებულება, ანაზღაურებადი შვებულება).

2. შრომითი ურთიერთობების შეჩერება არ გულისხმობს იმას, რომ პერსონალს არ აქვს უფლება დაწესებულების თანხმობით (საჭიროების შემთხვევაში) განახორციელოს რაიმე სახის სამსახურებრივი საქმიანობა, თუ ასეთი სამსახურებრივი საქმიანობა შეთანხმებული იყო დაწესებულებასთან (დამსაქმებლის სტატუსით მოქმედი მართვის შესაბამისი ორგანო).

3. თსუ-ის პერსონალის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“, თსუ წესდებით, მოქმედი კანონმდებლობითა, წინამდებარე შინაგანაწესითა და სხვა შიდასამართლებრივი აქტებით.

4. არასრულწლოვანთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის, მასობრივი დათხოვნის, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი და პირობები, ასევე მათთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

5. პერსონალი, ვალდებულია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის გარემოების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს სამსახურთან დაკავშირებული და მისთვის მინდობილი დოკუმენტაციის (ასევე მომზადებული პროექტების ელ. ვერსიები, მათი ადგილმდებარეობის მითითებით) და მისი პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული ქონების (მატერიალური ფასეულობის), მათ შორის მის სახელზე რიცხული სამუშაო ოთახის გასაღების მისი შემცვლელი პირის ან ზემდგომი თანამდებობის პირისათვის, ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში, კორპუსის ადმინისტრატორისათვის გადაცემა.

## **მუხლი 29. თსუ-ს სტუდენტების დისციპლინური პასუხისმგებლობა**

1. სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის ადეკვატური და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ თსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნის წამოწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა თსუ-ს წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, თსუ-ს საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.

3. სტუდენტის დისციპლინური დევნის საკითხს წყვეტს ფაკულტეტის საბჭო. სტუდენტს უფლება აქვს დაესწროს თავისი საქმის განხილვას.

4. სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველია ფაკულტეტის საბჭოს წერილობითი გადაწყვეტილება. დისციპლინური დევნის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონით, თსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს. ყველა

მტკიცებულება, რომელიც დისციპლინური დევნის საფუძველია უნდა გამოიკვლიოს ფაკულტეტის საბჭომ. დისციპლინური დევნის სახით მიმდინარე წარმოებაში აუცილებელია სტუდენტის (სტუდენტის მოთხოვნით ასევე კანონმდებლობით დადგენილი წესით, სტუდენტის ოფიციალური წარმომადგენლის) ჩართვა. სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნის შესახებ საკითხი განიხილება ფაკულტეტის საბჭოს დახურულ სხდომაზე, რომელზედაც შესაძლებელია დაესწრონ მხოლოდ დაინტერესებული პირები და მათი კანონიერი წარმომადგენლები.

5. დისციპლინური დევნის განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს წერილობითი ფორმით არსებული დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ;

ბ) დაესწროს დისციპლინური დევნის საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

გ) მიაწოდოს საბჭოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს ფაკულტეტის საბჭოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

ე) მოითხოვოს მის მიმართ დისციპლინური დევნის შესახებ საკითხი განხილულ იქნეს ღია სხდომაზე.

6. სტუდენტს უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს ფაკულტეტის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებში.

7. სტუდენტს, შინაგანაწესისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ეთიკური ნორმების (ეთიკის კოდექსი) დარღვევის შემთხვევაში, გამოეცხადება სახდელი - „საყვედური“, ხოლო ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეუწყვიტოს მას სტუდენტის სტატუსი, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რაც აისახება სტატუსის შეწყვეტის შესახებ რექტორის ბრძანებაში.

### **მუხლი 30. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა**

გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველებისა, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველებია:

ა) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა და შეურაცხყოფა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და სხვა პერსონალის მიმართ.

ბ) აკადემიური შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური, ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით.

### **მუხლი 31. პერსონალის წახალისების ფორმები**

1. სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი, კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის, ან მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისა და სხვა ობიექტური საფუძველების არსებობისას თსუ პერსონალის მიმართ შესაძლებელია გამოყენებული იქნას წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მაღლობის გამოცხადება წერილობით;

ბ) ფულადი ჯილდოს გადაცემა;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება;

დ) მაღალანაზღაურებად თანამდებობაზე გადაყვანა ან დაკავებულ თანამდებობაზე შრომის ანაზღაურების ოდენობის დროებით გაზრდა (წელიწადში არაუმეტეს ზედიზედ 3 თვის განმავლობაში) კანონმდებლობით დაშვებული შესაბამისი, ნებისმიერი სახით.

ე) არსებული (მოქმედი) დისციპლინური სახდელის მოხსნა.

2. წახალისების რამდენიმე ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთდროულად (გარდა პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფორმების ერთდროულად გამოყენებისა).

## თავი VI

### შრომისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები

#### მუხლი 32. შრომის უსაფრთხოება

შრომის უსაფრთხოებაში იგულისხმება იმ ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობას.

#### მუხლი 33. დაწესებულების საქმიანობა შრომის უსაფრთხოების სფეროში

თსუ ზრუნავს მასთან დასაქმებული პერსონალისათვის შრომის უსაფრთხოების სფეროში არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა პირობის შექმნაზე, ყველა სამუშაო ადგილის სათანადო ტექნიკურ მოწყობასა და იქ შრომის ისეთი სივრცის არსებობაზე, რომელიც სრულად შეესაბამება ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

#### მუხლი 34. პერსონალის ვალდებულებები შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად

პერსონალი ვალდებულია დაიცვას თსუ-ს საკუთრებასა თუ სარგებლობაში არსებული მანქანებითა და მექანიზმებით სარგებლობის დაწესებული მოთხოვნები, გამოიყენონ მათთვის მიცემული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, შეასრულონ შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ნორმები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით (ამ მიზნით უნივერსიტეტი ვალდებულია თავის ვებგვერდზე განათავსოს შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები, ხოლო დასაქმებული ვალდებულია მუდმივად ეცნობოდეს მათ და მათში შესულ ცვლილებებსა და დამატებებს).

#### მუხლი 35. კონტროლი შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად

შრომის უსაფრთხოების სფეროში არსებული კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მუდმივ კონტროლს ახორციელებენ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები, რომლებიც ერთიანდებიან შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში.

#### მუხლი 36. პასუხისმგებლობა შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის

შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის პერსონალს ეკისრება კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული დადგენილი დისციპლინური, მატერიალური, ან სხვა სახის პასუხისმგებლობა.

## თავი VII

### შრომის ანაზღაურების გაცემის წესი დრო და ფორმა

### **მუხლი 37. შრომის ანაზღაურების გაცემის წესი**

1. შრომის ანაზღაურება ხდება დაწესებულების შესაბამისი მართვის ორგანოს მიერ განსაზღვრული თანამდებობის, საშტატო განაკვეთის და კვალიფიკაციის მიხედვით, შესრულებული სამუშაოს მოცულობის, ხარისხის, შედეგების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სხვადასხვა სახით (მათ შორის: თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი, ჰონორარი, კომპენსაცია). ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დადგენილი წესის მიხედვით უფლებამოსილია განსაზღვროს თანამდებობრივ სარგოზე დანამატი კვალიფიკაციისა და ფუნქციური დატვირთვის (განათლების ხარისხი, სამუშაო გამოცდილება, საპასუხისმგებლო დატვირთვა) გათვალისწინებით შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით.

2. ხელფასის სახით შრომის ანაზღაურების (მათ შორის ზეგანაკვეთური სამუშაოს ხელფასის სახით ანაზღაურება) გაცემის საფუძველს წარმოადგენს პირის მიერ შრომითი ხელშეკრულებით (ასევე დაწესებულების სხვა სამართლებრივი აქტებით) დავალებული ფუნქციისა და უფლებამოვალეობების შესრულება.

3. კანონმდებლობით დადგენილი სახით (პრემია, დანამატი, ჰონორარი, კომპენსაცია და სხვა) შრომის ანაზღაურების (სარგოს გარდა) საფუძველს წარმოადგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებებით დასაბუთებული დასაქმებულის უშუალო ხელმძღვანელის წერილობითი წარდგინება და უნივერსიტეტის მხრიდან დამსაქმებლის სტატუსით მოქმედი პირის თანხმობა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონმდებლობით დადგენილი სხვა სახით შრომის ანაზღაურების მიმღები ან დასაქმებულის უშუალო ხელმძღვანელი თავად უნივერსიტეტის მხრიდან დამსაქმებლის სტატუსით მოქმედი პირია). ასეთ შემთხვევაში საკმარისია ზეპირი დავალების გაცემა და კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოცემული შესაბამისი სამართლებრივი აქტი.

### **მუხლი 38. შრომის ანაზღაურების გაცემის დრო**

1. თსუ-ს პერსონალს შრომის ანაზღაურება ეძლევა თვეში ერთხელ, არაუგვიანეს შესაბამისი თვის ბოლო სამუშაო დღისა.

2. უნივერსიტეტი იხსნის პასუხისმგებლობას საბანკო სისტემებში წარმოქმნილი მიზეზებით ხელფასის გაცემის შეფერხებებზე და ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე.

### **მუხლი 39. ხელფასის გაცემის ფორმა**

როგორც წესი, შრომის ანაზღაურების გაცემა ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით პირად ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

## **თავი VIII**

### **სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული და შრომითსამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი უნივერსიტეტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების პერსონალისათვის გაცნობის წესი**

**მუხლი 40. სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული და შრომითსამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი უნივერსიტეტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები**

პერსონალის მიმართ სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული და შრომითსამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი უნივერსიტეტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების გამოცემის უფლება აქვს უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოს.

**მუხლი 41. სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული და შრომითსამართლებრივ ურთიერთობის მარეგულირებელი უნივერსიტეტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების გაცნობის წესი**

სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული და შრომითსამართლებრივ ურთიერთობის მარეგულირებელი უნივერსიტეტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი თუ იგი ეხება, ერთ პირს გადაეცემა დაინტერესებულ პირს პირადად, ან ეგზავნება მას მის მისამართზე ფოსტის მეშვეობით (გარდა აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობით საბჭოს გადაწყვეტილებებისა, რომლებიც ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე). ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი გზავნილის მიუღებლობის შემთხვევაში პირს უფლება აქვს, ყოველგვარი საზღაურის გადახდის გარეშე, თსუ-ში მიიღოს ხსენებული აქტის ასლი.

## **თავი IX დასკვნითი დებულებანი**

**მუხლი 42. შრომითსამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი სხვა აქტები**

1. წინამდებარე შინაგანაწესი არ წარმოადგენს პერსონალთან (დასაქმებულთან) არსებული შრომითსამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელ ერთადერთ შიდასამართლებრივ აქტს.

2. უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოები უფლებამოსილი არიან თავისი კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლების გამოყენებითა და კომპეტენციის ფარგლებში გამოსცენ პერსონალთან შრომითსამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი და გადამწყვეტი შიდასამართლებრივი აქტები (მათ შორის წინამდებარე შინაგანაწესში მითითებული აქტები), რომლებიც ისევე როგორც წინამდებარე შინაგანაწესი ითვლება პერსონალთან კანონმდებლობით დადგენილი წესით არსებული შრომით ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად.

3. პერსონალი ვალდებულია მუდმივად ეცნობოდეს მისთვის შესასრულებლად სავალდებულო, როგორც წინამდებარე შინაგანაწესის, ასევე შრომითსამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი და გადამწყვეტ სხვა შიდასამართლებრივ აქტებსა და მათში შეტანილ ცვლილებებსა თუ დამატებებს, რომლებიც გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

**მუხლი 43. შინაგანაწესის დადგენისა და გაცნობის წესი**

1. შინაგანაწესის პროექტს ადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და იგი რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით განიხილება და მტკიცდება თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

2. წარმომადგენლობით საბჭოზე განხილვამდე ერთი კვირით ადრე შინაგანაწესის პროექტი წარედგინება თსუ-ს პერსონალს, მასთან დაკავშირებით შენიშვნებისა და წინადადებების გამოთქმის მიზნით. აღნიშნული წინადადებები და შენიშვნები არ არის სავალდებულო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი გამომდინარეობენ კანონიდან.

3. პერსონალის მართვის დეპარტამენტი ვალდებულია სამსახურში მიღებისას (შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას) პერსონალს გააცნოს შინაგანაწესი და აგრეთვე, უზრუნველყოს ნებისმიერ დროს დაინტერესებული პირისათვის მისი გაცნობის შესაძლებლობა, ასევე შინაგანაწესში შესაბამისი ცვლილებებისა თუ დამატებების შეტანისას გააცნოს ამ ცვლილებებისა თუ დამატებების შინაარსი მოქმედ პერსონალს. სამსახურში მიღებისას გაცნობის ფაქტი დასტურდება ხელწერილის ჩამორთმევით ან შინაგანაწესზე შესაბამისი პირის ხელმოწერით.

#### **მუხლი 44. შინაგანაწესის შესრულებაზე კონტროლი**

პერსონალის მიერ შინაგანაწესის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. თავისი კომპეტენციის ფარგლებში კონტროლის განხორციელებას, ასევე, აწარმოებს შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული.

#### **მუხლი 45. პასუხისმგებლობა შინაგანაწესის დარღვევისათვის**

პერსონალის მიერ შინაგანაწესის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე შინაგანაწესის მიხედვით.

#### **მუხლი 46. შინაგანაწესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა**

შინაგანაწესში ცვლილებების და დამატებების შეტანა და მათი ძალაში შესვლა ხორციელდება დადგენილი წესით.

#### **მუხლი 47. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები**

1. შინაგანაწესი ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით მისი საჯაროდ განთავსებიდან – თსუ-ში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას ღიად ან/და თსუ ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებიდან – მომდევნო სამუშაო დღეს.

2. წინამდებარე შინაგანაწესის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი ძალაში შევიდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

3. წინამდებარე შინაგანაწესის დაინტერესებულ პირთათვის ოფიციალურად გაცნობა გულისხმობს, რომ ისინი (დასაქმებულო) სრულად ეთანხმებიან მას, ასევე შინაგანაწესის და ასევე მისი მითითებითი და ბლანკეტური ნორმებით გათვალისწინებულ შრომითსამართლებრივი ურთიერთობების სფეროში უნივერსიტეტის მიერ მიღებულ გამოცემულ დოკუმენტებს, მათ შინაარსს და შინაგანაწესით დადგენილ სხვა პირობებს, აღიარებენ როგორც შინაგანაწესს, ისე ზემოხსენებულ სამართლებრივ აქტებს თავისი შრომითი ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად.



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 21798/10

16/12/2020

*სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი  
საბჭოს სპიკერს, ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს*

ბატონო ვლადიმერ,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დასამტკიცებლად წარმოგიდგინებ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის დებულების ახალ პროექტს რაც განპირობებულია განსახორციელებელი ცვლილებების საჭიროებით.

ცვლილებები გამოწვეულია დებულების მოქმედ ვერსიაში ტექნიკური ხარვეზების არსებობით და დეპარტამენტის ზოგიერთ თანამდებობათა დასახელებების ცვლილებით, რაც იწვევს დებულების შესაბამისი ნორმების შეცვლის საჭიროებას. ამასთან, განხორციელდა რიგი პუნქტების დახვეწა/დაზუსტება, რაც არ წარმოადგენს არსებითი ხასიათის ცვლილებებს, თუმცა მათი მოცულობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია დამტკიცებული იქნას დებულება, მისი ახალი რედაქციით.

დანართი: 4 ფურცელი.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



**სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის დებულება**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი (შემდგომში - „დეპარტამენტი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც აქცენტირებულია ორ ძირითად მიმართულებაზე: მეცნიერების ადმინისტრირება/მენეჯმენტი და კვლევითი პროექტების ადმინისტრირება.

2. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

3. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე, ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ, რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დაკისრებულ მოვალეობებს.

**მუხლი 2. დეპარტამენტის მიზანი, ამოცანები და ფუნქციები**

1. დეპარტამენტის ძირითადი მიზანია უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი განვითარებისა და ცნობადობის ხელშეწყობა, მართვის გაუმჯობესება, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის და ეფექტურობის დონის ამაღლება.

2. დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პოლიტიკის შემუშავებაში თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობის მიღება და სათანადო რეგულაციების მომზადება/ინიცირება სხვა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სხვადასხვა ტიპის კორესპონდენციის თუ ერთობლივი დოკუმენტების პროექტების (მემორანდუმი, ხელშეკრულება, შეთანხმება და ა.შ.) განხილვა ან/და ვიზირება, ან/და დასკვნების მომზადება;

გ) სხვადასხვა სამეცნიერო/ბიბლიომეტრიულ ელექტრონულ ბაზაში/პორტალზე უნივერსიტეტის პროფილის, უნივერსიტეტის სახელით წარსადგენი/წარდგენილი საპროექტო წინადადებების და გამარჯვებული პროექტების ადმინისტრირება;

დ) სამეცნიერო-კვლევით სფეროში დამფინანსებელი/დონორი ორგანიზაციების (ფონდები, კომპანიები და ა.შ.) შესახებ ინფორმაციის მოძიება/გავრცელება;

ე) უნივერსიტეტის პერსონალისთვის/სტუდენტებისთვის სახელმწიფო და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსების პირობების გაცნობა,

შესაბამისი საპროექტო წინადადებების მომზადების/წარდგენის საკითხებში კონსულტაციების გაწევა ან/და ტრენინგების ჩატარება;

ვ) უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, სკოლა-სემინარების, საზაფხულო სკოლების ორგანიზების ხელშეწყობა;

ზ) სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერი ინტელექტუალური ინფორმაციის საერთაშორისო პროვაიდერებზე წვდომის ხელშეწყობა; შესაბამისი პლატფორმების გამოყენების საკითხებში კონსულტაციების გაწევა ან/და ტრენინგების ჩატარება;

თ) უნივერსიტეტის სამეცნიერო/საგრანტო პროდუქტიულობის ამსახველი სტატისტიკური ანგარიშის შედგენა.

### 3. დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინაცია;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტების პროექტების მომზადება, არსებულ დოკუმენტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, მათი ნაწილობრივ ან სრულად გაუქმების თაობაზე წინადადებების შემუშავება;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სხვადასხვა ტიპის კორესპონდენციის თუ ერთობლივი დოკუმენტების პროექტების (მემორანდუმი, ხელშეკრულება, შეთანხმება და ა.შ.) განხილვა, ვიზირება და საჭიროების შემთხვევაში დასკვნების მომზადება უნივერსიტეტისა და სხვა ორგანოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ შემუშავებულ და წარმოდგენილ ერთობლივი დოკუმენტების პროექტებთან დაკავშირებით;

დ) დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის სახელით წარდგენილი, მიმდინარე თუ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტების ადმინისტრირება/განხორციელების ხელშეწყობა საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ელექტრონული ბაზების/პორტალების გამოყენებით;

ე) სამეცნიერო ფონდებთან, დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის კოორდინაცია;

ვ) დეპარტამენტის კომპეტენციის და უფლებამოსილების ფარგლებში სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებთან ურთიერთობა;

ზ) უნივერსიტეტის პერსონალისთვის/სტუდენტებისთვის საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა სამეცნიერო ფონდების მოძიების, საგრანტო პროექტების მომზადების, პროექტების მართვის მიზნით;

თ) ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან, არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო ცენტრებთან განვითარებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა;

ი) საგანმანათლებლო ერთეულების ადმინისტრაციიდან, საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურებიდან, სხვა საუნივერსიტეტო სამსახურებიდან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის გამოთხოვა (მათ შორის, უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამეცნიერო შინაარსის მივლინებათა, მიმდინარე საგრანტო პროექტების შესახებ ინფორმაცია და სხვა);

კ) დეპარტამენტის საქმიანობის წლიური ანგარიშის წარდგენა ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის;

ლ) საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტურის სტუდენტთა სტატიების საერთაშორისო რეცენზირებისათვის საჭირო ღონისძიებების უზრუნველყოფა;

მ) უნივერსიტეტის სამეცნიერო/საგრანტო პროდუქტიულობის ამსახველი სტატისტიკური ანგარიშის შედგენა;

ნ) ყოველწლიური სამეცნიერო ანგარიშის შედგენა იმ სტრუქტურული ერთეულების მიერ მოწოდებული შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე, რომლებიც ახორციელებენ სამეცნიერო საქმიანობას.

### **მუხლი 3. დეპარტამენტის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა**

1. დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს, რომლის სტრუქტურა ითვალისწინებს: დეპარტამენტის უფროსს, დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს, მთავარ სპეციალისტს (I კატეგორია), წამყვან სპეციალისტს და უფროს სპეციალისტს.

2. დეპარტამენტის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რექტორის წარდგინებით. დეპარტამენტის უფროსის მიერ თავის უფლება-მოვალეობათა შესრულების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა) მის მოვალეობას ასრულებს უფროსის მოადგილე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

3. დეპარტამენტის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს დეპარტამენტს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია დეპარტამენტზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

გ) ანაწილებს მოვალეობებს დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის და აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

დ) ზედამხედველობს დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;

ე) ხელს აწერს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებულ სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას;

ვ) წარადგენს ანგარიშს დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს უნივერსიტეტის რექტორის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;

ზ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით დეპარტამენტისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

თ) წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს დეპარტამენტის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, დეპარტამენტის თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ო) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია დეპარტამენტის წინაშე მდგრადი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;

კ) პერიოდულად ისმენს დეპარტამენტის თანამშრომლების ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

ლ) ხელმძღვანელობს დეპარტამენტის მოკლე და გრძელვადიანი სამუშაო გეგმების შემუშავებას და მათ შესრულებას;

მ) წარმოადგენს დეპარტამენტს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან, საგანმანათლებლო ერთეულებთან/ინსტიტუტებთან და სხვა სამსახურებთან;

ნ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

ო) დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებებს;

პ) რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, დავალებებით ახორციელებს სხვა უფლება-მოვალეობებს.

4. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ხელს უწყობს დეპარტამენტის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელების დაგეგმვა-კოორდინაციასა და ორგანიზაციაში;

ბ) კოორდინაციას უწევს დეპარტამენტის ფუნქციების განხორციელებას კვლევითი პროექტების ადმინისტრირების მიმართულებით;

გ) მონაწილეობს დეპარტამენტში შემოსული კორესპონდენციის/დოკუმენტაციის განაწილებაში;

დ) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს დოქტორანტების სტატიების საერთაშორისო რეცენზირებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას;

ე) ახორციელებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის სამსახურებრივი საკითხების შესახებ კონსულტაციის გაწევას;

ვ) ორგანიზებას უკეთებს დეპარტამენტის ეგიდით დაგეგმილ ღონისძიებებს;

ზ) დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, რექტორის, დეპარტამენტის უფროსის დავალებებს;

თ) რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და დეპარტამენტის უფროსის დავალებებით ახორციელებს სხვა უფლებამოვალეობებს.

#### **მუხლი 4. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

დეპარტამენტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### **მუხლი 5. დებულებაში ცვლილებების შეტანის წესი**

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.



საჯარო სამართლის იურიდიული უნივერსიტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ადმინისტრაციის ხელმოკვანელი

N 13014/02-07-03

13014-02-07-03-2-

14/12/2020

202012141117



სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი  
საბჭოს სპიკერს, ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11  
სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის  
იურიდიული პირის - „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი“ წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“  
ქვეპუნქტის თანახმად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ სსიპ - ივანე  
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული დეპარტამენტის დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების  
პროექტს.

ცვლილებები განპირობებულია დებულების მოქმედ ვერსიაში ტექნიკური  
ხარვეზების არსებობით და დეპარტამენტის ზოგიერთ თანამდებობათა  
დასახელებების ცვლილებით, რაც იწვევს დებულების შესაბამისი ნორმების  
შეცვლის საჭიროებას.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

ლაშა სალინაძე



ადმინისტრაციის ხელმძღვანელი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის დებულების (დამტკიცებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის N5 ოქმით) ცვლილებები:

1. დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი.“;

2. დებულების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) შუამდგომლობს დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე, ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.“;

3. დებულების მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით დეპარტამენტისათვის განსაზღვრული თანამდებობებია: დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (1 კატეგორია), დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი.“.





საჯარო სამართლის იურიდიული უნივერსიტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 21974/10

18/12/2020

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი  
საბჭოს სპიკერს, ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედია ცენტრის (ამჟამინდელი გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია) ახალი დებულების პროექტს.

ცვლილებები განპირობებულია ახალი გამოწვევებით, როდესაც საზოგადოებას ინფორმაციაზე წვდომისთვის უკვე განსხვავებული მოთხოვნები აქვს და, შესაბამისად, იგი საინფორმაციო საშუალებების მრავალფეროვანი არჩევანის შეთავაზებისთვის მზაობას გვკარნახობს. ასეთი მოცემულობისას მხოლოდ გაზეთი ვერ დააკმაყოფილებს რედაქციის მიზანს, რაც უკავშირდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ საზოგადოების კომპლექსურ და ყოვლისმომცველ ინფორმირებას. სწორედ ამიტომ, გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციის მიერ შემოთავაზებული დებულების პროექტი ემსახურება ინფორმაციის გავრცელების მეთოდების დივერსიფიკაციის მიზანს.

ვინაიდან, გაზეთის რედაქციას გაცნობიერებული ქონდა ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევები, რედაქცია უკვე



7 წელია ახორციელებდა ტელე-პროექტებს. ასევე, საზოგადოების ინფორმირების მეთოდების დივერსიფიცირებას ემსახურებოდა უნივერსიტეტის დამაარსებელთა, სამეცნიერო სკოლების ფუძემდებელთა და ღვაწლმოსილ მეცნიერთა შესახებ კრებულების გამოცემა. ყველა ეს პროდუქცია ემსახურება საუნივერსიტეტო საზოგადოების პოპულარიზაციას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიჯის გაზრდასა და საზოგადოებაში მისი ძირითადი საქმიანობის თაობაზე ცნობადობის ამაღლებას. რედაქციის მიერ განხორციელებული პროექტების გაგრძელების მიზანშეწონილობას ასევე განსაზღვრავს საქართველოს რეგიონული ტელევიზიების ეთერებში განთავსებული ამ ტელე-პროექტების მაღალი რეიტინგი (ყურებადობის ხარისხი), რის თაობაზეც პერიოდულად ვრცელდება საქართველოში მსოფლიო ინდუსტრიის ლიდერ კომპანია კანტარ მედიას ექსკლუზიური ლიცენზიანტის - „ტრი მედია ინტელიჯენს“-ის მიერ მომზადებულ მონაცემებზე დაყრდნობით შედგენილი ანგარიშები.

სამომავლოდ, ზემოთ აღნიშნული საზოგადოებრივი დაკვეთის გათვალისწინებით, აუცილებელი იქნება ინტერნეტ-სივრცეში არსებული საზოგადოების ინფორმირების სხვა ინსტრუმენტების გამოყენებაც (ინტერნეტ-ტელევიზია და ა.შ.).

იმისათვის, რომ თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციის მიმდინარე საქმიანობა აისახოს დებულებაში, სწორედ ამიტომ გახდა ახალი დებულების პროექტის შემოთავაზება საჭირო.

აქვე განვმარტავთ, რომ დებულების პროექტის თანახმად, გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია იცვლის სახელწოდებას და გთავაზობთ რედაქციის ზემოთ აღნიშნული მიზნებისა და ამოცანების შესაბამის სახელწოდებას - „თსუ პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედია ცენტრი“. ცენტრის საქმიანობა მოიცავს როგორც გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ გამოცემას, ასევე ტელე-პროექტებისა და კრებულების წარმოებას და ითვალისწინებს ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობების შემდგომი გამოყენების პერსპექტივასაც აღნიშნული ამოცანების კონტექსტში. ეს მიზნები და ამოცანები მკაფიოდაა განმარტებული დებულების პროექტში. „თსუ პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედია ცენტრი“-ს სახელწოდების შერჩევასაც ასევე დაცულია თსუ-ის სხვა შესაძლო მომიჯნავე დეპარტამენტისა თუ ცენტრის სახელწოდებისგან/ფუნქციებისგან მკვეთრად გამოყოფის პრინციპი.

განვმარტავთ, რომ, დებულების პროექტის თანახმად, გაზეთის რედაქციის ცენტრად გადაქცევა არ ითვალისწინებს დამატებით სპეციალისტთა მოწვევას. როგორც მოგახსენეთ, გაზეთის რედაქციაში უკვე დასაქმებულნი არიან რედაქციის ახალი მიზნების შესაბამისად გაწერილი ფუნქციების შემსრულებელი პირები.

ასევე გაცნობებთ, რომ გაზეთის რედაქციის ბაზაზე ცენტრის შექმნა არ გაზრდის სახელფასო ფონდს.

წარმოდგენილი დებულების დამტკიცების შემთხვევაში ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციის მოქმედი დებულება. ამასთან, შესაბამისი ცვლილება აისახება უნივერსიტეტის სტრუქტურაში ამ ერთეულის სახელწოდების ცვლილების კუთხით.

დანართი: 7 ფურცელი; გადაცემა „უნივერსიას“ ყურებადობის ანგარიში (2 ფურცელი).

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე



ადმინისტრაციის ხელმძღვანელი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## დებულების პროექტი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედია ცენტრი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“ ან „თსუ“) **პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედია ცენტრი** (შემდგომში „ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.
2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით და წინამდებარე დებულებით.
3. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებებს.

### მუხლი 2. ცენტრის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. ცენტრი სარგებლობს შემოქმედებითი თავისუფლებით და უნივერსიტეტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.
2. ცენტრის მიზანია:
  - ა) თსუ-ის მრავალმხრივი საქმიანობის თაობაზე საზოგადოების ყოვლისმომცველი ინფორმირებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
  - ბ) თსუ-ის იმიჯისა და ცნობადობის ამაღლება.
3. ცენტრის ძირითადი ამოცანებია:
  - ა) თსუ-ის საინფორმაციო-შემოქმედებითი უზრუნველყოფა, რაც ითვალისწინებს უნივერსიტეტის საიმიჯო მახასიათებლების პოპულარიზაციას პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალურ-კულტურულ და საგანმანათლებლო-შემეცნებით ჭრილში;
  - ბ) თსუ-ის, მასში შემავალი ფაკულტეტების/ინსტიტუტების/ცენტრების და ა.შ. მრავალმხრივი საქმიანობის (სიახლეების, მოვლენების, პროცესების, პრობლემების) გაშუქება/ანალიზი;

გ)მეცნიერების (ყველა დარგის) და მეცნიერ-მკვლევართა (დოქტორანტების, პოსტდოქტორანტების, პროფესორ-მასწავლებლების), ასევე უნივერსიტეტის დამაარსებელთა, სამეცნიერო სკოლების ფუძემდებელთა, ღვაწლმოსილ მეცნიერთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პოპულარიზაცია;

დ)სტუდენტური ცხოვრების მრავალმხრივი ასპექტით გაშუქება/ანალიზი; წარმატებულ სტუდენტთა პოპულარიზაცია;

ე)სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;

ვ) საუნივერსიტეტო საექსპერტო პოზიციების (სფეროების მიხედვით) სტიმულირება და წარმოჩენა;

ზ) საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო გამოცდილების გაზიარება;

თ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში მიმდინარე სიახლეების გაშუქება/ანალიზი;

ი) განათლებისა და მეცნიერების სფეროში საჯარო ლექციების, დისკუსიებისა და დებატების სტიმულირება/გაშუქება;

კ)საზოგადოების კონსულტირება/პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება სხვადასხვა სფეროში;

ლ) უნივერსიტეტის წარმატებულ კურსდამთავრებულთა პოპულარიზაცია;

მ)ახალგაზრდა კადრების დაოსტატება ჟურნალისტიკის სფეროში;

ნ)საუნივერსიტეტო ტელე-ფოტო არქივის („ოქროს ფონდი“) განვითარება/გაფართოება;

#### 4. ცენტრის ძირითადი მოვალეობებია:

ა) გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ გამოცემა და მასთან დაკავშირებული საქმიანობების განხორციელება: ინფორმაციის მოძიება, გადამოწმება, მისი დამუშავება, ტექნიკური გამართვა, გავრცელება/რეალიზაცია, ელექტრონული გავრცელება და სხვ.

ბ) სატელევიზიო გადაცემების/დოკუმენტური ფილმების/საჯარო ლექციების/სიუჟეტების გადაღება/მომზადება, მათი სატელევიზიო სივრცეში/ინტერნეტ სივრცეში გავრცელების უზრუნველყოფა;

გ) კრებულების მომზადება, გამოცემა და გავრცელება;

#### 5. ცენტრს უფლება აქვს:

- ა) ისარგებლოს შემოქმედებითი თავისუფლებით უნივერსიტეტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით;
- ბ) უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით მოითხოვოს, მიიღოს და გააშუქოს ყველა ინფორმაცია, თუ ის არ წარმოადგენს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას;
- გ) დაესწროს უნივერსიტეტში გამართულ ღია სხდომებს (ღონისძიებებს და ა.შ.);
- დ) განიხილოს ცენტრში შემოსული წერილები და გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ძირითადი მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით მიიღოს გადაწყვეტილება გაზეთში მათი განთავსების შესახებ;
- ე) მოითხოვოს ცენტრში მომუშავე ჟურნალისტების უფლებების დაცვა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- ვ) მოითხოვოს გაზეთის/კრებულის გამოცემისთვის, გადაცემისა და ფილმის მოსამზადებლად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა;
- ზ) წარუდგინოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებები დროის მოთხოვნებით განპირობებული ცენტრის სხვა პროექტების განსახორციელებლად და ცენტრის საქმიანობისთვის საჭირო პირობების შექმნის თაობაზე.

#### 6. ცენტრი პასუხისმგებელია:

- ა) მოამზადოს საინტერესო და მაღალი ჟურნალისტური სტანდარტის შესაბამისი პროდუქცია.
- ბ) გაითვალისწინოს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის რეკომენდაციები საუნივერსიტეტო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე;
- გ) უზრუნველყოს პროდუქციის მომზადება სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში;
- დ) ცენტრში მომუშავე ჟურნალისტებმა შეასრულონ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ჟურნალისტის მოვალეობები;
- ე) გაუფრთხილდეს მისთვის გადაცემულ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს.

### მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც მართავს ცენტრის ხელმძღვანელი. ცენტრის ხელმძღვანელი, ამავე დროს, შესაძლებელია იყოს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორი. აღნიშნული განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო განრიგით (უნივერსიტეტის საშტატო განრიგით

- შესაძლებელია განისაზღვროს, რომ ზემოხსენებული ორი თანამდებობა წარმოადგენს ერთ თანამდებობას. ასეთ შემთხვევაში ამ საშტატო ერთეულის ფუნქციები მოიცავს როგორც ცენტრის ხელმძღვანელის, ისე გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორის სპეციფიკურ ფუნქციებს).
2. ცენტრის ხელმძღვანელთან ერთად ცენტრის პოლიტიკასა და სტრატეგიას შეიმუშავებს სათათბირო ორგანო - სარედაქციო კოლეგია, რომელიც შედგება თსუ-ის ფაკულტეტების დეკანების მიერ წარდგენილი ორ-ორი წევრისგან, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელისგან და თსუ-ის ადმინისტრაციის/რექტორატის წარმომადგენლისგან საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.
  3. ცენტრის საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობებია: ცენტრის ხელმძღვანელი (შემდგომში - „ხელმძღვანელი“), გაზეთის რედაქტორი და პირველი კატეგორიის მთავარი სპეციალისტი. დებულებით განსაზღვრული სამუშაოების შესასრულებლად შესაძლებელია ცენტრში მოწვეულ იქნენ შესაბამისი სპეციალისტები (რეჟისორი, პროდიუსერი, ოპერატორი, მემონტაჟე და სხვ). ცენტრის თანამშრომელთა ფუნქციები და უფლება-მოვალეობები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით, სამუშაო აღწერილობებითა და შრომითი ხელშეკრულებებით.
  4. ცენტრის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
  5. ცენტრის ხელმძღვანელის დროებით არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა), ხელმძღვანელის დავალების შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელისა და რედაქტორის თანამდებობა უნივერსიტეტის საშტატო განრიგით ერთ თანამდებობადაა გათვალისწინებული - მთავარი სპეციალისტი.

## 6. ცენტრის ხელმძღვანელი:

- ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას;
- ბ) სარედაქციო კოლეგიასთან ერთად განსაზღვრავს ცენტრის პოლიტიკასა და მიმართულებას; წარმართავს სარედაქციო კოლეგიის მუშაობას, განიხილავს და ამუშავებს კოლეგიის წევრთა ინიციატივებსა და რეკომენდაციებს;
- გ) თანამშრომლობს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან და უზრუნველყოფს მათგან მოწოდებული ყველა საჭირო ინფორმაციის გავრცელებას;
- დ) ანაწილებს დავალებებს ცენტრის თანამშრომლებს შორის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი მოვალეობების შესაბამისად და თვალყურს ადევნებს თანამშრომელთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას და ახორციელებს კონტროლს.
- ე) იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელისა და გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორის თანამდებობა უნივერსიტეტის სამტატო განრიგით სხვადასხვა თანამდებობებია, სარედაქციო კოლეგიასთან ერთად შემუშავებული საერთო პოლიტიკისა და სტრატეგიის შესაბამისად დავალებებს/რეკომენდაციებს აძლევს გაზეთის რედაქტორს და ახორციელებს კონტროლს.
- ვ) მონაწილეობს ცენტრის მიერ განსახორციელებელი პროდუქციის (სიუჟეტი, გადაცემა, ფილმი, კრებული) შექმნის პროცესში (საბოლოო რედაქტირება/რეჟისურა/მონტაჟი და ა.შ.).
- ზ) უზრუნველყოფს წარმოებული პროდუქციის გავრცელებას ტელევიზიის/ინტერნეტ ტელევიზიის საშუალებით, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე მათ განთავსებას და, ასევე, წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციას;
- თ) პერიოდულად ისმენს ცენტრის თანამშრომელთა ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;
- ი) უზრუნველყოფს სასწავლო წლის განმავლობაში არანაკლებ 2-ჯერ სარედაქციო კოლეგიის სხდომის ჩატარებას;
- კ) ცენტრთან თანამშრომლობის მიზნით ხელს უწყობს სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის ჩამოყალიბებას; ჟურნალისტიკაში დაოსტატების მსურველ სტუდენტებს აძლევს სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ დავალებებს და უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ კვალიფიციურად მომზადებული პროდუქციის გავრცელებას გაზეთსა თუ ტელევიზიაში.
- ლ) უნივერსიტეტის რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებს ცენტრის შიდა სტრუქტურის, მუშაობის ორგანიზაციის, ცენტრის თანამშრომლების წახალისების, მათ მიერ არასათანადოდ შესრულებული სამუშაოსთვის შესაბამისი ზომების

მიღების, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ან მათი სამსახურიდან დათხოვნის შესახებ;

მ) წარმოადგენს ცენტრს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია ცენტრისთვის დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

ნ) უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან შუამდგომლობს ცენტრის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;

ო) წინამდებარე დებულებით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და დავალებებს.

#### 7. გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორი:

ა) წარმოადგენს გაზეთის რედაქციას დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია რედაქციისთვის დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

ბ) ცენტრის ხელმძღვანელთან ერთად ამუშავებს გაზეთის ნომრის სამუშაო გეგმას;

გ) ანაწილებს დავალებებს გაზეთის რედაქციის თანამშრომლებს შორის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი მოვალეობების შესაბამისად; თვალყურს ადევნებს თანამშრომელთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას და ახორციელებს კონტროლს;

დ) ახორციელებს გაზეთის რედაქტირების პროცესს;

ე) გამოხატავს პოზიციას ჟურნალისტური პროდუქციის რედაქტირების საჭიროებასა და სხვა საკითხებზე, თუმცა რედაქცია პასუხს არ აგებს ცალკეულ ჟურნალისტურ პროდუქტში (სტატია და ა.შ.) ჟურნალისტის მიერ დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელებაზე;

ვ) თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან კონსულტაციის საფუძველზე ან მათი მითითებით გაზეთში განათავსებს აუცილებელ ოფიციალურ ინფორმაციას (ბრძანებებს, დადგენილებებს და სხვ.);

ზ) ანგარიშს აბარებს ცენტრის ხელმძღვანელს რედაქციის საქმიანობაზე;

თ) მონაწილეობს საგაზეთო პროდუქციის (სტატია და ა.შ.) შექმნის პროცესში.

#### მუხლი 4. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.



## **მუხლი 5. დეზულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

დეზულებაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

117 a Tsereteli Ave. Tbilisi. Georgia

+995555 361 321

www.abcdef.ge

აიპ „მაუნეებელთა ალიანსი“

საიდ # 436254508

მისამართი: საქართველო, მცხეთა, გლდანი, ავჭალის მასივი .

საბანკო კოდი TBCBGE22

GE02TB7235836080100005



Alliance of Broadcasters

უნივერსიას ანგარიში

1.03.2020 – 1.08.2020

გადაცემა „უნივერსია“ გადაიცემა შემდეგი რეგიონული არხების ეთერით:

TV25, მეცხრე ტალღა, გურია TV, ოდიში, ევრისი TV, კოლხეთი 89, არგო, იმერვიზია, რიონი, რიონი 2, ღია TV, გურჯაანი TV, AGTV, მარნეული TV, FTV geo


ამ 15 არხიდან, მხოლოდ 6 ტელევიზიის მონიტორინგი და დათვლა ხორციელდება TMI მიერ.

დათვლების მიხედვით გადცემის ჭრების რაოდენობა თვის განმავლობაში შეადგენს სულ 49 ჭრას:

1. გურია ტვ - 10 ჭრა
2. ღია - 5 ჭრა
3. ოდიში - 15 ჭრა
4. იმერვიზია - 5 ჭრა
5. გურჯაანი ტვ - 6 ჭრა
6. ტვ 25 – 8 ჭრა

2020 წლის 1 მარტიდან 2020 წლის 1 აგვისტომდე პროგრამის ჭრების რაოდენობამ თვლად 6 TV -ში შეადგინა - 245 ჭრა. ამ ტელევიზიებში თვის განმავლობაში გადაცემის ყურებადობა, მხოლოდ შეწონილი მონაცემით მთელს საქართველოზე (არ ითვლება სოფლები და მიზნობრივი ზონები) შეადგენს საშუალოდ 32 000 ადამიანს . პროგრამის ამგვარმა წვდომამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 3 56 000 ადამიანი.

ჩვენ „უნივერსიას“ რეიტინგი კვლავ შეავდარეთ „დოიჩე ველეს“ წარმოებით მომზადებული ყოველკვირეული სამეცნიერო გადაცემის „ვიდრე ხვალ „ (Tomorrow Today ) რეიტინგს, რომელიც ასევე გადაიცემა იმავე სატელევიზიო არხების მიერ. შედარება ასე გამოიყურება:



ანგარიში მომზადებულია „ტრი მედია ინტელიჯენსი“-ის მონაცემებზე დაყრდნობით, TMI არის სატელევიზიო აუდიტორიის მზომი , მსოფლიო იდუსტრიის ლიდერ კომპანია კანტარ მედიას ექსკლუზიური ლიცენზიანტი საქართველოში. ბმული - <https://www.tmi.ge/ka/#> ანალიზისთვის ჩვენ ავიღეთ 1 იანვრიდან 20 სექტემბრამდე პერიოდი. შედარებისთვის ავიღეთ შემეცნებითი ყოველკვირიული პროგრამა, რომელიც გადაიყვანა იმავე არხებზე , რაზეც „უნივერსია“.

ავთანდილ გველებიანი  
 ალიანსის თავმჯდომარე  
 24.08.2020

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი N 15

2020 წლის 1 ოქტომბერს, ხუთშაბათს, 16 საათზე, Zoom-ის პლატფორმაზე ჩატარდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდა ფაკულტეტის საბჭოს 22 წევრი.

სხდომის თავმჯდომარე - ფაკულტეტის დეკანი,  
პროფ. ნანა გაფრინდაშვილი;  
მდივანი - ასოც. პროფ. ნინო წერეთელი

დღის წესრიგი:

15. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უკრაინისტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისათვის ოთარ ბაქანიძის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უკრაინისტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისათვის ოთარ ბაქანიძის სახელის მინიჭების შესახებ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. ნანა გაფრინდაშვილმა, ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უკრაინისტიკის ცენტრის 2020 წლის 22 სექტემბრის სხდომის ოქმი უკრაინისტიკის ცენტრისათვის პროფ. ოთარ ბაქანიძის სახელის მინიჭების შესახებ. მან აღნიშნა, რომ პროფ. ოთარ ბაქანიძის დიდი დამსახურებაა თსუ-ში ათეული წლების განმავლობაში უკრაინისტიკის, როგორც დარგის, არსებობა. მისი ჩამოყალიბება და განვითარებაც უკავშირდება სწორედ პროფ. ოთარ ბაქანიძის სახელს. ცენტრი ცალკე ერთეულად ფაკულტეტზე შეიქმნა 2007 წელს და ეწევა აქტიურ სამეცნიერო-კვლევით, მთარგმნელობით და შემეცნებით საქმიანობას. მან ასევე აღნიშნა, რომ, იმ შემთხვევაში, თუ საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას, საქირო იქნება ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანა. პროფ. ნანა გაფრინდაშვილმა შესთავაზა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გამოეთქვათ მოსაზრებები.

აზრი გამოთქვას: პროფ. გოჩა ჯაფარიძემ, ასოც. პროფ. ნინო წერეთელმა, ასოც. პროფ. თეა წითლანაძემ.

მათ მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ წინადადებას და შესთავაზეს ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს საკითხი გამოიტანოს კენჭისყრაზე.

ფაკულტეტის საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს წარმოდგენილ წინადადებას და ერთხმად დაუჭირეს მხარი.

დაადგინეს: ეთხოვოს თსუ წარმომადგენლობით საბჭოს, დაამტკიცოს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების განახლებული რედაქცია და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უკრაინისტიკის ცენტრს მიენიჭოს პროფ. ოთარ ბაქანიძის სახელი.

საბჭოს თავმჯდომარე, პროფ. ნანა გაფრინდაშვილი



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიური  
საბჭოს თავმჯდომარეს,

ბატონ გიორგი შარვაშიძეს

ბატონო გიორგი


მოგახსენებთ, რომ 2020 წლის 1 ოქტომბერს, Zoom-ის პლატფორმაზე ჩატარდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. ფაკულტეტის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უკრაინისტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისათვის ოთარ ბაქანიძის სახელის მინიჭების შესახებ. (იხ. საბჭოს სხდომის ამონაწერი)

გთხოვთ თსუ აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების გაერთიანებულ სხდომაზე განიხილოთ აღნიშნული გადაწყვეტილება და, თანხმობის შემთხვევაში, მიიღოთ გადაწყვეტილება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შესახებ.

დანართი: ო. ბაქანიძის CV – 9 გვ. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ამონაწერი – 2 გვ.

პატივისცემით

ნანა გაფრინდაშვილი



თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

ოთარ ბაძანაძე

---

პირადი მისამართი:

ილ. ჭავჭავაძის 62, ბინა 50

თბილისი, საქართველო

ტ.: 232034; მობილური: 893 314444

დაბადების თარიღი: 27. III. 1929

დაბადების ადგილი: თბილისი, საქართველო

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

განათლება

---

- 1969 – სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ქართულ-უკრაინული ლიტერატურული და თეატრალური ურთიერთობანი“
- 1962 – საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან“ (გლუბ უსპენსკი და ქართული საზოგადოებრიობა)
- 1947-1952 – თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი სპეციალობით – ქართული ენა და ლიტერატურა

დიპლომები

---

2000 ქუმანიტარული აკადემიის აკადემიკოსის დიპლომი

1995 ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის აკადემიკოსის დიპლომი

1971 პროფესორის დიპლომი – МИП №017374

- 1969 დიპლომი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხისათვის  
– МФЛ №000603
- 1962 დიპლომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხისათვის  
– МФЛ №001920
- 1961 დოცენტის დიპლომი – МДЦ №003171
- 1952 თსუ დიპლომი №378814 - ფილოლოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

#### წოდებები

---

თსუ პროფესორი

საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის აკადემიკოსი

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

უკრაინის კულტურის დამსახურებული მოღვაწე

პავლო ტიჩინას სახელობის უკრაინის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ნაციონალური უნივერსიტეტის  
საპატიო

დოქტორი

#### ჯილდოები

---



ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ოქროს მედალი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საიუბილეო მედალი

ივ. ჯავახიშვილის საიუბილეო მედალი

საქართველოსა და უკრაინის უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმების  
საპატიო სიგელები

საქართველოს „ღირსების“ ორდენი

უკრაინის ორდენი „დამსახურებისათვის“ (III ხარისხი)

პოპულარობისა და ხარისხის საერთაშორისო ღია რეიტინგის – „ოქროს  
ფორტუნა“ – ორდენის ღაურვატი „შრომითი მიღწევებისათვის“

უკრაინის ორდენი „დამსახურებისათვის“ (II ხარისხი)

#### მუშაობის გამოცდილება

---

2007 25.03 - 2020-16.03

თსუ უკრაინისტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელი

2006 IX / 2009 IX

თსუ ასოცირებული პროფესორი

2005 / 2006

თსუ რუსისტიკის, სლავომცოდნეობისა და  
კულტურათშორისი კომუნიკაციის ინსტიტუტის  
დირექტორი

2005 / დღემდე

საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის  
აკადემიის პრეზიდენტი

---

1976–2006	თსუ ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრის გამგე
1972–1976	თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი
1970-1972	თსუ რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრის პროფესორი
1959–1970	თსუ რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრის დოცენტი
1959	თსუ რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრის უფროსი მასწავლებელი
1958–1959	თსუ რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრის მასწავლებელი
1955-1958 კათედრის	თსუ რუსული ლიტერატურის ისტორიის მადიებელი
1952-1955	თსუ რუსული ლიტერატურის კათედრის უფროსი ლაბორანტი

ო. ბაქანიძე რედაქტორია ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრის, კლუბ „უკრაინასა“ და უკრაინისტიკის ინსტიტუტის გრიფით გამოცემული ორენოვანი კრებულების :

1. ლესია უკრაინკა, „სინათლე! სინათლე!“, 1971
2. გრიგორი სკოვოროდა, „კვადი კეთილი“, 1972
3. მიკოლა ბაქანი, „მზის შადრევნები“, 1974
4. პავლო ტიჩინა, „ერთიანი ოჯახის გრძნობა“, 1979
5. მაქსიმ რილსკი, „მოახლოება გაზაფხულისა“, 1980
6. პავლო ტიჩინა, „საქართველოს“, 1981
7. ივან ფრანკო, „ქვისმტეხელნი“, 1981

8. ხე იმედისა (ლიტერული პოეზიის კრებული), 1981
9. თერგის საჩუქარი (რუსული და ქართული პოეზიის კრებული), 1983
10. ბუნდერი დღე (ბელორუსული პოეზია), 1983
11. გალაკტიონ ტაბიძე, „მთაწმინდის მთვარე“, 1984
12. გამარჯობა, უკრაინავ! (უკრაინელი პოეტების ლექსები), 1989
13. ტარას შევჩენკო, „კაკასი“, 1989
14. ღვთის წყალობა (დავით გურამიშვილისა და ღვსია უკრაინკას ლექსები), 1996
15. გმადლობ, სიყვარულო ! (იტალიური პოეზიის კრებული), 1998
16. ადამ მიცკევიჩი, „კურთხევა“, 1998
17. ალექსანდრე პუშკინი, „მე თქვენ მიყვარდით“, 1999
18. იულიუშ სლოვაკი, ლექსები, 2000
19. მიკოლა ბაჟანი, „წყარო“, 2004
20. ფრანგულ-ქართული ანთოლოგია (შარლ ბოდლერი, პოლ ვერლენი, სტეფან მალარმე, არტურ რემბო), 2004
21. დავით გურამიშვილი, პოეზია, 2005
22. VOCO AMICOS (ქართულ-სლავური პოეზიის ორენოვანი კრებული), 2006
23. ტარას შევჩენკო, „მთების იქით მთები...“, 2007
24. ღვსია უკრაინკა, „იმედი“, 2007
25. ილია ჭავჭავაძე, „მამულს საყვარელს“, 2007
26. პეტრო კონონენკო, „საქართველო“, 2009

**ო. ბაქანიძის რედაქტორობით გამოცდა სამეცნიერო შრომების კრებულები და წიგნები:**

1. ხალხთა ლიტერატურული თანამეგობრობა, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, უნივერსიტეტებსა და ლიტერატურის ინსტიტუტებთან ერთად კათერის მიერ გამოცემული შრომები, ტტ. 1, 2, 3, 4, 5
2. უნისა და ლიტერატურის განვითარების იმანენტური პროცესები, თულ-ავივისა და ზაარლანდის უნივერსიტეტებთან ერთად კათედრის მიერ გამოცემული შრომები, ტ. 1, 2
3. შრომები, თსუ სლავისტიკის ცენტრი, ტტ. I, II
4. შრომები, საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომები, ტტ. I, II, III, IV, V
5. სამეცნიერო-ლიტერატურული აღმანახი „ექო სახიერი“, ტტ. 1, 2, 3, 4, 5, 6

6. НАУЧНЫЕ ТРУДЫ. Серия: Филология. Санкт-Петербургский государственный университет. Тбилисский государственный университет. С.-Петербург-Тбилиси, 2001, тт. I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XI, XII, XIII
7. ქეთევან ბურჯანაძე, იაკობ გოგებაშვილი და მხატვრული თარგმანი
8. ქეთევან ბურჯანაძე, მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები
9. მარიამ შირესაშვილი, ლიტერატურული პროცესების ტიპოლოგიური კვლევის პრობლემები
10. გიორგი წიბახაშვილი, თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, დამხმარე სახელმძღვანელო
11. ნანა გაფრინდაშვილი, ვეფხისტყაოსანი და ბელორუსული სალიტერატურო სამყარო
12. თარგმანის ლექსიკონი
13. წინააღმდეგობათა პარმონია, სონეტის თეორიისა და ისტორიის ასპექტები
14. მასალები ადამ მიცკევიჩის დაბადების 200 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენციისა
15. ნინო წერეთელი, ე. შკლოვსკი ფორმალიზმის სათავეებთან
16. Практикум по художественному переводу. Пособие для студентов филологического факультета, обучающихся по специальности перевод
17. М. Миресашвили. Функция мира в «новом историческом романе» (О. Чиладзе, Л. Мештерхази, К. Вольф)

## ენები

---

- ქართული – მშობლიური
  - რუსული – თავისუფლად
  - უკრაინული – კარგად
  - გერმანული – კარგად
- 

## მონოგრაფიები:

---

1. ოთარ ბაქანიძე, ლევ ტოლსტოი, გამ. „ცოდნა“, 1960

2. ოთარ ბაქანიძე, გლებ უსპენსკი, გამ. „ცოდნა“, 1962
3. ოთარ ბაქანიძე, რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, გამ. „საბჭოთა საქართველო“, 1962
4. ოთარ ბაქანიძე, რუსული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თსუ გამ., 1962 (თანაავტორი)
5. ოთარ ბაქანიძე, ალექსანდრე სერაფიმოვიჩი, თსუ გამ., 1963
6. ოთარ ბაქანიძე, რუსული ლიტერატურის ისტორია, ტ. III, თსუ გამ., 1963 (თანაავტორი)
7. ოთარ ბაქანიძე, ნარკვევები უკრაინული ლიტერატურიდან, თსუ გამ., 1965
8. ოთარ ბაქანიძე, უკრაინული თეატრი თბილისში, თსუ გამ., 1967
9. ოთარ ბაქანიძე, ნარკვევები ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობიდან, გამ. „მერანი“, 1969
10. ოთარ ბაქანიძე, ლესია უკრაინკა, გამ. „მეცნიერება“, 1971
11. ოთარ ბაქანიძე, გრიგორი სკოპოროდა, გამ. „მერანი“, 1972
12. ოთარ ბაქანიძე, მიკოლა ბაჟანი, გამ. „საბჭოთა საქართველო“, 1974
13. ოთარ ბაქანიძე, ხალხთა მეგობრობის მომდევრადი. მაქსიმ რილსკი, გამ. „ნაკადული“, 1975
14. ოთარ ბაქანიძე, ლევ ტოლსტოი საქართველოში, თსუ გამ., 1978
15. ოთარ ბაქანიძე, მიკოლა ბაჟანი, გამ. „ცოდნა“, 1979
16. ოთარ ბაქანიძე, ქართულ-უკრაინული ლიტერატურული და თეატრალური ურთიერთობანი, გამ. „განათლება“, 1982
17. ოთარ ბაქანიძე, ქართულ-უკრაინული ლიტერატურული და თეატრალური ურთიერთობანი, გამ. „დნიპრო“, 1984
18. ოთარ ბაქანიძე, ნარკვევები უკრაინული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, თსუ გამ., 1985
19. ოთარ ბაქანიძე, მრავალფეროვანი საბჭოთა ლიტერატურა. დამხმარე-სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის. მოსკოვი, გამ. „ვისშია შკოლა“, 1986 (თანაავტორი).
20. ოთარ ბაქანიძე, ივან ფრანკო, თსუ გამ., 1986
21. ოთარ ბაქანიძე, ილია ჭავჭავაძე და უკრაინა, გამ. „ცოდნა“, 1987
22. ოთარ ბაქანიძე, ოლეს გონჩარი, გამ. „საბჭოთა საქართველო“, 1988
23. ოთარ ბაქანიძე, ტარას შევჩენკო, გამ. „საბჭოთა საქართველო“, 1989
24. ოთარ ბაქანიძე, მეგობრობის გზით, გამ. „მერანი“, 1989 (რუსულ ენაზე)
25. ოთარ ბაქანიძე, უკრაინული ლიტერატურა, ტ. II, თსუ გამ., 1997
26. ოთარ ბაქანიძე, უკრაინული კულტურის პირველი დეკადა საქართველოში, თსუ გამ., 2000
27. ოთარ ბაქანიძე, მზიური დეკადა, თსუ გამ., 2000



28. ოთარ ბაქანიძე, ხსოვნა გულისა, თსუ გამ., 2000
29. თარგმანის ლექსიკონი, თსუ გამომცემლობა, 2001 (თანაავტორი)
30. ოთარ ბაქანიძე, ოქროს ქნარებით, თსუ გამ., 2003
31. ოთარ ბაქანიძე, უკრაინული ლიტერატურა, ტ. III, თსუ გამ., 2004
32. ოთარ ბაქანიძე, კიევის უნივერსიტეტი ქართველი ახალგაზრდების განათლების კერა, თსუ გამ., 2004
33. ოთარ ბაქანიძე, ღალი ნემსაძე, ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრა, თსუ გამ., 2005
34. ოთარ ბაქანიძე, სილამაზისა და პოეზიის მხარე (საქართველო ოლეს გონჩარის ცხოვრებასა და შემოქმედებაში), თსუ გამ., 2008
35. ოთარ ბაქანიძე, მეგობრობის მატიანის ფურცლები (ქართული ლიტერატურის დეკადა უკრაინაში), გამ. „უნივერსალი“, 2009
36. ოთარ ბაქანიძე, სიბრძნის ტაძარი. კიევის უნივერსიტეტი – ქართველი სტუდენტების მოძღვარი, თსუ გამ., 2009
37. ოთარ ბაქანიძე, უკრაინული დრამატურგიის კორიფეები, თსუ გამ., 2010
38. ოთარ ბაქანიძე, პრომეთეს მემკვიდრე, თსუ გამ., 2014
39. ოთარ ბაქანიძე, ღაღო შინაშვილი, ჩემი ხატია სამშობლო..., თსუ გამ., 2015
40. ოთარ ბაქანიძე, კიევის უნივერსიტეტი ქართველი ახალგაზრდების სავანე, თსუ გამ., 2015
41. ოთარ ბაქანიძე, ვინ მოყვარესა არ ეძებს..., თსუ გამ., 2017
42. ოთარ ბაქანიძე, ჩემო კარგო ქვეყანავ, თსუ გამ., 2018

სხვა:

---

ო. ბაქანიძე ავტორია 200-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა, რომლებიც დაბეჭდილია ქართულ, რუსულ, უკრაინულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე.

ო. ბაქანიძე მოხსენებებით გამოვიდა და ლექციები წაიკითხა ბაქოს, ერევნის, მოსკოვის, პეტერბურგის, კიევის, ხარკოვის, ლუოვის, იენის, ბერლინის, ვარშავის უნივერსიტეტებში.

ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის „დ“ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე,

შევიდეს შემდეგი ცვლილებების სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებულ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში:

ა) დებულების 29-ე მუხლის -

ა.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ინსტიტუტის საქმიანობას კოორდინირებას უწევს ინსტიტუტის ხელმძღვანელი, შესაბამისი მიმართულების/ქვემიმართულების პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.“;

ა.ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ ინსტიტუტს ჰყავს მხოლოდ ერთი პროფესორი, უნდა ჩატარდეს ინსტიტუტის ხელმძღვანელის არჩევნები. პროფესორთა საბჭო ინსტიტუტის ხელმძღვანელად ირჩევს პროფესორს/ასოცირებულ პროფესორს, რომელიც აირჩევა ღია კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით 2 წლით ვადით.“;

ბ) დებულების 45-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 45. დამხმარე პერსონალი**

ფაკულტეტის დამხმარე პერსონალს მიეკუთვნებიან უნივერსიტეტის სამტატოგანრიგით გათვალისწინებული ფაკულტეტის საქმიანობისათვის აუცილებელის ხვაპირები: სამსახურის უფროსი, მთავარისპეციალისტი (I კატეგორია), მთავარისპეციალისტი (II კატეგორია), წამყვანისპეციალისტი, უფროსისპეციალისტი, სპეციალისტი უფროსი ლაბორანტი, ლაბორანტი, პროფესორის ასისტენტი და ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული (შტატგარეშე), ფაკულტეტის საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა პირები.“.




ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ადმინისტრაციის ხელმძღვანელს,  
ბატონ ლაშა სალინაძეს

ბატონო ლაშა,

შემდგომი რეაგირებისათვის გიგზავნით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა  
ფაკულტეტის დებულებაში შესატანი ცვლილებების პროექტს. (იხ. დანართები)

პატივისცემით

ნანა გაფრინდაშვილი



თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი N 21

2020 წლის 17 დეკემბერს, ხუთშაბათს, 13 საათზე, Zoom-ის პლატფორმაზე ჩატარდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ფაკულტეტის საბჭოს 26 წევრი: პროფესორი ცირა ბარამიძე, პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი (თავმჯდომარე), პროფესორი დავით გოცირიძე, პროფესორი თინათინ დოლიძე, პროფესორი დარეჯან თვალთვაძე, პროფესორი ვასილ კაჭარავა, პროფესორი ვახტანგ ლიჩელი, პროფესორი კახაბერ ლორია, პროფესორი თეიმურაზ პაპასქირი, პროფესორი მანანა რუსიეშვილი, ასოცირებული პროფესორი ლევან სილაგაძე, პროფესორი ნანა ტონია, პროფესორი რამაზ ქურდაძე, ასოცირებული პროფესორი თეა წითლანაძე, ასოცირებული პროფესორი ნინო წერეთელი (მდივანი), პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე, პროფესორი ქეთევან ხუციშვილი, პროფესორი დემურ ჯალღონია, პროფესორი ნინო ჩიქოვანი, სტუდენტი შოთა კეჭერაშვილი, სტუდენტი დინა ხუციშვილი, სტუდენტი მარიამ თვალაძე, სტუდენტი ანა აფრიაშვილი, სტუდენტი ნანუკა გელაშვილი, სტუდენტი გიორგი დიდებაშვილი, სტუდენტი ანანო სამხარაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ასოცირებული პროფესორი ჯონი კვიციანი, ასოცირებული პროფესორი მერაბ ჩუხუა, მოწვეული პედაგოგი ნინო რუხაძე (კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სწავლული მდივანი), ასოცირებული პროფესორი რევაზ აბაშია, ასოცირებული პროფესორი ნანა მაჭავარიანი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიის უფროსი თამარ მოკვერაშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანაშემწე თეა კალანდია, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი დარეჯან გარდავაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი ზვიად მურადაშვილი.

**დღისწესრიგი:**

1. კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორთა საბჭოს ინიციატივის განხილვა ფაკულტეტის დებულების 29-ე მუხლში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით (იმ სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებში, რომლებშიც მხოლოდ პროფესორის ერთი სამტატო ერთეულია, ჩატარდეს არჩევნები, რომელშიც მონაწილეობის მიღების უფლება ექნებათ ასოცირებულ პროცესორებსაც).
2. ფაკულტეტის დებულების 45-ე მუხლში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა.

1. **მოისმინეს:**სხდომის თავმჯდომარის, პროფ. ნანა გაფრინდაშვილის, ინფორმაციაკავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორთა საბჭოს ინიციატივის შესახებ, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების 29-ე მუხლში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების 29-ე მუხლი განსაზღვრავს სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელის არჩევის წესს. მან განმარტა, რომ, ფაკულტეტის დებულების 29-ე მუხლის თანახმად, ინსტიტუტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მხოლოდ ამ ინსტიტუტის პროფესორი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ინსტიტუტის წევრია 2 ან მეტი პროფესორი,

უნდაჩატარდეს ინსტიტუტის ხელმძღვანელის არჩევნები. თუ ინსტიტუტს არ ჰყავს პროფესორი, პროფესორთა საბჭოს ინსტიტუტის ხელმძღვანელად შეუძლია აირჩიოს ასოცირებული პროფესორი ღია კენჭის ყრით ხმათა უმრავლესობით 2 წლით ვადით.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა ნანა გაფრინდაშვილმა, აღნიშნა, რომ სხდომას ესწრებიან კავკასიოლოგიის სს ინსტიტუტის წევრები: ასოცირებული პროფესორი ჯონი კვიციანი, ასოცირებული პროფესორი მერაბ ჩუხუა, მოწვეული პედაგოგი ნინო რუხაძე (კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სწავლული მდივანი), ასოცირებული პროფესორი რევაზ აბაშია, ასოცირებული პროფესორი ნანა მაჭავარიანი. მან სთხოვა მათ გამოეთქვათ მოსაზრებები.

სხდომაზე მოწვეულმა ასოცირებულმა პროფესორმა, მერაბ ჩუხუამ, ისაუბრა კავკასიოლოგიის სს ინსტიტუტში შექმნილ დაძაბულ ვითარებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ინსტიტუტის პერსონალსა და ხელმძღვანელს შორის შეიქმნა კონფლიქტური სიტუაცია, რაც გამოწვეულია აზრთა სხვადასხვაობით მრავალ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. ასოცირებულმა პროფესორმა მერაბ ჩუხუამ დასძინა, რომ ინსტიტუტი იმსახურებს, რომ აქ იყოს ჰარმონიული ურთიერთობები და სამუშაო ვითარება. მან ფაკულტეტის საბჭოს წევრებს მიმართა წინადადებით, რათა ფაკულტეტის საბჭოს დებულების 29-ე მუხლში შევიდეს ცვლილებები და ისეთ სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებში, რომლებშიც მხოლოდ პროფესორის ერთი საშტატო ერთეულია, რაც გულისხმობს, რომ ყოველგვარი არჩევნების გარეშე, ეს პროფესორი ავტომატურად ხდება ინსტიტუტის ხელმძღვანელი განუსაზღვრელი ვადით, დაინიშნოს არჩევნები, რომელშიც მონაწილეობის უფლება ექნებათ ასოცირებულ პროფესორებსაც. მან ინსტიტუტის წევრთა უმრავლესობის სახელით მიმართა ფაკულტეტის საბჭოს არსებული ვითარების განსამუხტავად მიღებულ იქნას გადაწყვეტილება, ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ. მან დასძინა, რომ ეს ცვლილება უფრო დემოკრატიულს გახდის ფაკულტეტზე ს/ს ინსტიტუტების ხელმძღვანელების არჩევნებს, უფრო პროგრესულია და განვითარებაზე ორიენტირებული.

ასოცირებულმა პროფესორმა ჯონი კვიციანმა ასევე ისაუბრა ინსტიტუტში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით და გამოთქვა მოსაზრება, რომ დებულებაში ცვლილების შეტანით პერსონალს მიეცემა საშუალება, აირჩიოს ახალი ხელმძღვანელი, რაც განმუხტავს ვითარებას.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა ნანა გაფრინდაშვილმა, საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის დებულებაში შესატანი ცვლილებები და შესთავაზა გამოეთქვათ მოსაზრებები.

**აზრი გამოთქვას:** პროფესორმა ცირა ბარამიძემ, პროფესორმა ვასილ კაჭარავამ, ასოცირებულმა პროფესორმა მერაბ ჩუხუამ, პროფესორმა ნანა გაფრინდაშვილმა, პროფესორმა ქეთევან ხუციშვილმა, სტუდენტმა შოთა კეჟერაშვილმა, პროფესორმა დემურ ჯალაღონიამ, პროფესორმა დავით გოცირიძემ, პროფესორმა ვახტანგ ლიჩელმა.

პროფესორმა ცირა ბარამიძემ აღნიშნა, რომ კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტის ინიციატივა, შევიდეს ცვლილება დებულებაში მიმართულია მისი დისკრედიტაციისკენ და სამართლებრივად არასწორია. მან ვრცლად ისაუბრა, რაში გამოიხატება, მისი აზრით, მისი დისკრედიტაცია. პროფესორმა ცირა ბარამიძემ აღნიშნა, რომ ამის შესახებ არაერთხელ წერილობით მიმართა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას, ასევე განმარტება მეილით გაუგზავნა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს. მან მოითხოვა აეხსნათ მისთვის, თუ რა კანონი დაარღვია. ასევე პროფ. ცირა ბარამიძემ აღნიშნა, რომ ინსტიტუტში აზრთა სხვადასხვაობა წამოიჭრა სტუდენტ დარია კუდრიავეცვას სამაგისტრო ნაშრომის დაცვასთან დაკავშირებით. მისი აზრით, არ იყო საკმარისი სტუდენტს დაეცვა ნაშრომი ინსტიტუტის წევრების თანხმობით, ვინაიდან თვითონ, როგორც კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტის და პროგრამის ხელმძღვანელი, იყო ამ დაცვის წინააღმდეგი. მან აღნიშნა, რომ ნაშრომი ანტისახელმწიფოებრივი შინაარსის იყო.

ასოცირებულმა პროფესორმა მერაბ ჩუხუამ საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნულ სამაგისტრო ნაშრომში არაფერი ანტისახელმწიფოებრივი არ იყო. პროფესორმა ნანა გაფრინდაშვილმაც დაადასტურა, რომ, რამდენადაც მისთვის ცნობილია, სტუდენტმა დარია კუდრიავეცვამ წარმატებით დაიცვა ნაშრომი ინსტიტუტის პროფესორების წინაშე და მიიღო მაღალი შეფასება.

პროფესორმა ცირა ბარამიძემ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნული ცვლილების შეტანა ფაკულტეტის დებულებაში იქნებოდა კანონსაწინააღმდეგო და გამოიწვევდა ქაოსს.

პროფესორმა ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ ფაკულტეტის საბჭოზე არ განიხილებოდა სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საკითხი. აგრეთვე, არ იყო საუბარი ინსტიტუტის ხელმძღვანელის პერსონალიზაციაზე და აღნიშნა, რომ შეუძლებელია, აღნიშნული ცვლილების შეტანა გახდეს ფაკულტეტზე რაიმე ქაოსისა და გაუგებრობის გამომწვევი მიზეზი. პირიქით, ცვლილება უფრო მეტად დემოკრატიულია და საშუალებას მისცემს ს/ს ინსტიტუტების სხვა პროფესორებსაც, შეიტანონ წვლილი ინსტიტუტის წარმატებულ მუშაობაში.

პროფესორმა ვასილ კაჭარავამ აღნიშნა, რომ პერსონალის გახლეჩა ინსტიტუტის ფარგლებში, რასაკვირველია, რაღაცას ნიშნავს, მაგრამ ეს არ შეიძლება გახდეს მიზეზი დებულებაში ცვლილების შეტანისათვის. მით უმეტეს, როცა ქვეყანაში პანდემიაა და რთული ვითარებაა. მან ასევე აღნიშნა, რომ არსებობს სხვა მექანიზმები ასეთი პრობლემების მოსაგვარებლად, მაგალითად, როგორც ეს დემოკრატიულ ქვეყნებში ხდება,

იმპიჩმენტის გამოცხადებით და შესთავაზა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს, გადაედოთ დებულებაში შესატანი ცვლილების საკითხის განხილვა.

სტუდენტმა შოთა კეზერაშვილმა დასვა კითხვა: ფაკულტეტის დებულების მიხედვით, თუ არსებობს ბერკეტი გადარჩევის მექანიზმების ამოქმედებასთან დაკავშირებით, რომელსაც ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა ნანა გაფრინდაშვილმა უპასუხა, რომ ფაკულტეტის დებულებაში ასეთი შემთხვევები არ არის გაწერილი.

პროფესორმა დემურ ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის დებულების 29-ე მუხლი (პირველი პუნქტი) არადემოკრატიულია და თავიდანვე მიუღებელი იყო მისთვის.

პროფესორმა დავით გოცირიძემ ასევე აღნიშნა, რომ შესაძლოა ინსტიტუტის ერთადერთ პროფესორს არ სურდეს, იყოს ხელმძღვანელი. ხელმძღვანელობა მოითხოვს დიდ პასუხისმგებლობას და დროს. ამ შემთხვევაშიც გამოდის, რომ ინსტიტუტს არ ეძლევა საშუალება, აირჩიოს ხელმძღვანელად ასოცირებული პროფესორი. ცვლილება დებულებაში მისცემს ინსტიტუტებს საშუალებას, უფრო დემოკრატიულად აირჩიონ ხელმძღვანელები.

პროფესორი ვახტანგ ლიჩელი დაეთანხმა პროფესორ დავით გოცირიძეს და აღნიშნა, რომ ცვლილება ხელს შეუწყობს დემოკრატიულობას და ფაკულტეტზე არსებული ს/ს ინსტიტუტების განვითარებას.

პროფესორმა ცირა ბარამიძემ და პროფესორმა ვასილ კაჭარავამ განაცხადეს, რომ არ უჭერდნენ მხარს ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შეტანის საკითხს.

**კენჭისყრის შედეგები:** ფაკულტეტის საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს

წარმოდგენილ ცვლილებებს.

მომხრე: 24, წინააღმდეგი: 2, თავი შეიკავა: 0

**დაადგინეს:** წარედგინოს ფაკულტეტის დებულების 29-ე მუხლის ცვლილებების პროექტი თსუწარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

**2. მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარის, ნანა გაფრინდაშვილის, ინფორმაციას სსიპივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების 45-ე მუხლში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა ნანა გაფრინდაშვილმა, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება გამოწვეული

იყო უნივერსიტეტის ყველას ტრუქტურულ-ეთუღში განხორციელებული გარკვეული ცვლილებებით სპეციალისტთა რანჟირების მიმართულებით და სხდომაზე მოწვეულ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსს, ზვიად მურადაშვილს სთხოვა ფაკულტეტის საბჭოს წევრებისთვის განემარტა აღნიშნული ცვლილების არსი.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსმა, ზვიად მურადაშვილმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის ყველას ტრუქტურულ ერთეულში განხორციელებული გარკვეული ცვლილებების მიხედვით მიმდინარე ეტაპზე გამოიყოფას სპეციალისტთა რამდენიმე კატეგორია: სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, წამყვანი სპეციალისტი, მთავარი სპეციალისტი (I კატეგორია), მთავარი სპეციალისტი (II კატეგორია). შესაბამისად, ფაკულტეტის დებულების 45-ე მუხლი (დამხმარე პერსონალი) უნდა მოვიდეს შესაბამისობაში უნივერსიტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებულ ზემოაღნიშნულ ცვლილებასთან.

**კენჭისყრის შედეგები:** ფაკულტეტის საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს

წარმოდგენილ ცვლილებებს.

მომხრე: 26, წინააღმდეგი: 0, თავი შეიკავა: 0

**დაადგინეს:** წარედგინოს ფაკულტეტის დებულების 45-ე მუხლის ცვლილებების პროექტი თსუ წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

სხდომის თავმჯდომარე:

/ნანა გაფრინდაშვილი/





საჯარო სამართლის იურიდიული უნივერსიტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 22225/10

22/12/2020

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი  
საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ განიხილოთ შემდეგი  
საკითხები:

1. ქ. თბილისი, თამარაშვილის N6-ში მდებარე, ელემენტარ ანდრონიკაშვილის  
სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის შენობის (საკადასტრო კოდი  
01.14.03.042.137) მეორე სართულზე განთავსებული ფართის (ოთახი №220-ის  
ნაწილი (21მ<sup>2</sup>) და ოთახი №222 (39,03მ<sup>2</sup>), სულ 60,03 მ<sup>2</sup>) 5 წლის ვადით იჯარის  
ფორმით გაცემის საკითხი, სამეცნიერო საქმიანობისათვის;
2. ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1-ში მდებარე (საკადასტრო კოდი  
01.14.14.010.030) პირველი სასწავლო კორპუსის ნულოვანი სართულის ფოიეში  
არსებული 2 მ<sup>2</sup> ფართის 1 წლის ვადით იჯარის ფორმით გაცემის საკითხი,  
წიგნების ე.წ. „ვენდინგის აპარატის“ განთავსების მიზნით;
3. ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩაზე, უნივერსიტეტის საკუთრებაში  
არსებული 60192 მ<sup>2</sup> ფართის (საკადასტრო კოდი 01.14.06.006.115) გამიჯვნისა  
და 2000 მ<sup>2</sup> ფართის მიწის ნაკვეთის (ბაგების საბაგრო გზის სადგური) ქალაქ  
თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის საკითხი.

დანართი: 6 ელ. ფაილი.

პატივისცემით,

ლაშა სალინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

08/10/2020

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ადმინისტრაციის ხელმძღვანელს  
ბ-ნ ლაშა საღინაძეს

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გვსურს, ჩვენი წიგნების „ვენდინგის აპარატი“ განვათავსოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოიეში - ბიბლიოთეკასთან ახლოს. ამისთვის, 2 კვადრატული მეტრი ფართი და დენის წყარო დაგვჭირდება. უნივერსიტეტში აპარატს ერთი წლის განმავლობაში დავტოვებთ.

გამომცემლობა „პალიტრა L-ის“ დირექტორი,  
თინათინ ასათიანი







# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



წერილის ნომერი: **01-01203093009**  
თარიღი: **04/11/2020**  
პინი: **2185**

ადრესატი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების  
სამინისტრო

გადაამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

ქალბატონო ნათელა,

2018 წლის 5 დეკემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ N01-01183393973 წერილთან დაკავშირებით, განმეორებით გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/კ 202886788) 100%-იანი წილის მესაკუთრეს. 2018 წლის 15 ნოემბერს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/კ 202886788) გენერალურმა დირექტორმა N01/6622 განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვა საბაგირო გზით მომსახურების გაფართოებისა და განვითარების მიზნით, ბაგების საბაგირო გზასთან დაკავშირებული, 01.14.06.006.115 (ძველი საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.020) საკადასტრო ერთეულად აღრიცხული უძრავი ქონებიდან მიწის ნაკვეთის ნაწილისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის“ (ს/კ 202886788) გადაცემა.

გთხოვთ, თანდართული სიტუაციური ნახაზის (ელ-ვერსიის) გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 113-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საბაგირო გზით მომსახურების გაფართოებისა და მგზავრებისთვის ეკოლოგიურად სუფთა საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის განვითარების მიზნით, რაც თავის მხრივ ემსახურება მოქალაქეებისა და ტურისტული ნაკადის უსაფრთხო, კომფორტულ და შეუფერხებელ გადაადგილებას, მიიღოთ გადაწყვეტილება 2000,00 კვ.მ ქონების უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის შესახებ.

დანართი: სიტუაციური ნახაზი (ელ-ვერსია), ფოტოები და 1 გვერდი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი





KA021744696158220

სახელმწიფო ქონების  
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY  
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა  
ტელ: (+995 32)2 98 11 11  
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi, Georgia  
Tel: (+995 32)2 98 11 11  
info@nasp.gov.ge

N5/60492

05 / ნოემბერი / 2020 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს

შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიას“

ასლი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
მერიას


გაცნობებთ, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 04.11.2020წ. № 01-01203093009 წერილი, რომელიც ეხება წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე, თქვენს თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის / უძრავი ქონების/ საკადასტრო კოდი: № 01.14.06.006.115) გამიჯვნისა და 2000კვ.მ. მიწის ნაკვეთის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის საკითხს.


გიგზავნით, ზემოაღნიშნულ კორესპონდენციას. გთხოვთ, განიხილოთ და შესაძლო მოკლე ვადაში სააგენტოში წარმოადგინოთ თქვენი მოსაზრება და წინადადებები ზემოაღნიშნულ წერილში დასმულ საკითხთან დაკავშირებით.

საჯარო სექტორთან ურთიერთობის სამსახურის  
უფროსი

ხელმოწერილია/  
შტამმდარსულია  
ელემენტრულად

დავით მიქაძე



შენიშვნა  იჯარით გასაცემი ფართი



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
კლემენტ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი  
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –  
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY  
ANDRONIKASHVILI INSTITUTE OF PHYSICS

N 11405/10  
11/08/2020

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ადმინისტრაციის ხელმძღვანელს  
ბატონ ლაშა საღინაძეს

ბატონო ლაშა,

თქვენი ა.წ. 10 აგვისტოს №11328/10 მომართვის საფუძველზე მოგახსენებთ, რომ LiguThermDx LLC (LTDx)-ის პრეზიდენტი და აღმასრულებელი დირექტორი დოქ. ჯორჯ ბ.კენი ჩვენი ინსტიტუტის ბიოლოგიური სისტემების განყოფილებასთან თანამშრომლობის გაფართოებისა და სრულყოფის მიზნით ითხოვს იჯარით გადაეცეს ინსტიტუტის ძირითად შენობაში (მ. თამარაშვილის ქ.№6) მეორე სართულზე განთავსებული ფართი, ოთახი №220-ის ნაწილი (20მ<sup>2</sup>) და ოთახი №222 (40მ<sup>2</sup>) მიმდებარე საპირფარეშოთი. სულ იჯარით გასაცემია სამოცი (60მ<sup>2</sup>) კვადრატული მეტრი. შეთანხმების შემთხვევაში ხელშეკრულება განახლდება ყოველ წლიურად, სულ ხუთი წლის ვადით. LiguThermDx LLC (LTDx)-ი იღებს ვალდებულებას აღნიშნული ფართი შესაბამისად მოაწყოს და გაარემონტოს, ასევე შეიძინოს და ტექნიკური მომსახურეობა გაუწიოს მთელ აღჭურვილობასა და მუშაობის პროცესს.

წარმოგიდგენთ ტექნიკურ ნახაზებს.

დანართი: 2 გვ.

საფუძველი 3 გვ


გელა გელაშვილი



დირექტორი

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი









N 22221/10  
22/12/2020

22221-10-3-202012220908



წარმოდგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი №4,  
დანართი 10

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

### წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ნოემბრის №115/2020 დადგენილებას.

დანართი: 21 გვერდი

გიორგი შარვაშიძე

რექტორი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 115/2020

30 ნოემბერი 2020 წ.

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ნოემბრის №22 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში და პირველი პუნქტით დამტკიცებული №2, №3, №4, №5, №6 და №7 დანართები ჩამოყალიბდეს ახალი, წინამდებარე დადგენილებაზე თანდართული სახით (დანართი №2, დანართი №3, დანართი №4, დანართი №5, დანართი №6, დანართი №7).
2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის



საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე

რექტორი

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე



## დანართი №2

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის  
თანამდებობრივი სარგო

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ შორის, პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო 16-საათიან (8 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 8 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო 20-საათიან (10 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 10 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო 26-საათიან (14 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 12 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ეწევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ა“ კატეგორია

- ა) პროფესორი - თვეში 2435 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1895 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1415 ლარი.

1<sup>1</sup>. წინამდებარე დანართის პირველი პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისს წარმოადგენს და ამ პუნქტით დადგენილი წესით უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში და შემდეგი სახით:

- ა) შესაბამისი ანაზღაურებით სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება;
- ბ) არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა;
- გ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებულ

სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ საქმიანობაში მონაწილეობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

დ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებული, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის ანაზღაურებადი სახით წაკითხვის თაობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

ე) შესაბამისი ანაზღაურებით განათლების ავტორიზაციისა ან/და აკრედიტაციის ან/და სხვა პროფილური მიმართულების ექსპერტის თანამდებობაზე საქმიანობა (ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი).

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ შორის, პროფესორისათვის სავალდებულო კვირაში 12-საათიან (6 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 6 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო 16-საათიან (8 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 8 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო 22-საათიან (12 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 10 საათი

საკონსულტაციო) დატვირთვას, შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ეწევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ბ“ კატეგორია

- ა) პროფესორი - თვეში 1950 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1540 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1180 ლარი.

2<sup>1</sup>. წინამდებარე დანართის მე-2 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისს წარმოადგენს და ამ პუნქტით დადგენილი წესით უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში და შემდეგი სახით:

- ა) შესაბამისი ანაზღაურებით სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება;
- ბ) არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა;
- გ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ საქმიანობაში მონაწილეობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);
- დ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებული, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის ანაზღაურებადი სახით წაკითხვის თაობაზე,

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

ე) შესაბამისი ანაზღაურებით განათლების ავტორიზაციისა ან/და აკრედიტაციის ან/და სხვა პროფილური მიმართულების ექსპერტის თანამდებობაზე საქმიანობა (ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი).

3. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური) და ეწევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„გ“ კატეგორია

- ა) პროფესორი - თვეში 1230 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 995 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 770 ლარი.

### დანართი №3

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 16-საათიან - 8 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 8 საათი საკონსულტაციო დატვირთვას; ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 22-საათიან - 10 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 12 საათი საკონსულტაციო დატვირთვას; ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 24-საათიან - 12 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 12 საათი საკონსულტაციო დატვირთვას, შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ეწევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

აფილირებული აკადემიური პერსონალი

„ა“ კატეგორია

- ა) პროფესორი - თვეში 4000 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 3000 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 2300 ლარი.

1<sup>1</sup>. წინამდებარე დანართის პირველი პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისს წარმოადგენს და ამ პუნქტით დადგენილი წესით უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში და შემდეგი სახით:

- ა) შესაბამისი ანაზღაურებით სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება;
- ბ) არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა;

გ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ საქმიანობაში მონაწილეობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

დ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებული, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის ანაზღაურებადი სახით წაკითხვის თაობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

ე) შესაბამისი ანაზღაურებით განათლების ავტორიზაციისა ან/და აკრედიტაციის ან/და სხვა პროფილური მიმართულების ექსპერტის თანამდებობაზე საქმიანობა (ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი).

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), ასისტენტ-პროფესორისათვის

კვირაში არანაკლებ 8 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური) და ეწვევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

აფილირებული აკადემიური პერსონალი

„ბ“ კატეგორია

- ა) პროფესორი - თვეში 2300 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1800 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1200 ლარი.

არააფილირებული აკადემიური პერსონალი

„ბ“ კატეგორია

- ა) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1600 ლარი;
- ბ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 960 ლარი.



#### დანართი №4

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
### **მუხლი 19. დამხმარე სტრუქტურული ერთეულები**

**პუნქტი 3.** „დამხმარე სტრუქტურულ ერთეულში შესაძლოა არსებობდეს შემდეგი თანამდებობები: დამხმარე სტრუქტურული ერთეულის უფროსი, მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, მდივანი.“

ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„3. დამხმარე სტრუქტურულ ერთეულში შესაძლოა არსებობდეს შემდეგი თანამდებობები: დამხმარე სტრუქტურული ერთეულის უფროსი, მთავარი

სპეციალისტი (1 კატეგორია), მთავარი სპეციალისტი (2 კატეგორია), წამყვანი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, მდივანი.“

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,  
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი



m. Khomeriki

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს,

ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად გთხოვთ განიხილოთ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში შესატანი შემდეგი ცვლილება:

**მუხლი 19. დამხმარე სტრუქტურული ერთეულები**

**პუნქტი 3.** ნაცვლად „დამხმარე სტრუქტურულ ერთეულში შესაძლოა არსებობდეს შემდეგი თანამდებობები: დამხმარე სტრუქტურული ერთეულის უფროსი, მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, მდივანი.“


ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„3. დამხმარე სტრუქტურულ ერთეულში შესაძლოა არსებობდეს შემდეგი თანამდებობები: დამხმარე სტრუქტურული ერთეულის უფროსი, მთავარი სპეციალისტი (1 კატეგორია), მთავარი სპეციალისტი (2 კატეგორია), წამყვანი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, მდივანი.“

აღნიშნული საკითხი განხილული და დამტკიცებულია დაკულტეტის საბჭოს მიერ 2020 წლის 18 დეკემბრის სხდომაზე.

პატივისცემით,

რამაზ ხომერიკი



ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი  
ადმინისტრაცია

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დებულების (დამტკიცებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 10 ივლისის N5 ოქმით) ცვლილება:

**დებულების მე-3 მუხლის მე-15 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:**

„ე) უზრუნველყოს ტრენინგ-ცენტრის ფარგლებში ბიბლიოთეკის თანამშრომლებისათვის და მომხმარებლისთვის საბიბლიოთეკო საქმესა და ტექნოლოგიების, მეცნიერების, განათლების, ახალგაზრდობის, ბიზნესის ტექნოლოგიების, ინოვაციების ასევე სხვადასხვა საჭირო დარგობრივი ტრენინგების მაღალხარისხიანად ჩატარება, მათ შორის თსუ-ს და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, თანამედროვე აკადემიური წერის, ანტიპლაგიატის, აკადემიური ციტირების სტილებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების და სხვა ტრენინგების ეფექტური განხორციელება“.





საჯარო სამართლის იურიდიული უნივერსიტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 22230/10

22/12/2020

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი  
საბჭოს სპიკერს, ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11  
სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის  
იურიდიული პირის - „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“  
ქვეპუნქტის თანახმად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ სსიპ - ივანე  
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული  
სამეცნიერო ბიბლიოთეკის დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების  
პროექტს.

ცვლილებები განპირობებულია ბიბლიოთეკის ტრენინგ ცენტრის  
საქმიანობის დაზუსტებით საჭიროებით.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

ლაშა სალინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის დებულებების (დამტკიცებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 04 აპრილის N3 ოქმით) ცვლილებები:

ა) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. დეპარტამენტის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

**1. დეპარტამენტის მიზნებია:**

ა) პერსონალის (ადამიანური რესურსი) მართვასთან დაკავშირებული პროცესების ხარისხიანად წარმართვა უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობის გზით, უნივერსიტეტის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, მისიისა და სტრატეგიის შესაბამისად.

ბ) უნივერსიტეტის პერსონალისათვის ხარისხიანი და გამჭვირვალე სერვისის მიწოდება, ღირსეული ორგანიზაციული და სამუშაო გარემოს შექმნასა და შენარჩუნებაზე ზრუნვა.

გ) უნივერსიტეტის პერსონალის პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენისა და განვითარების, უნივერსიტეტის საერთაშორისო აღიარებისა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების ხელშემწყობი პერსონალის (ადამიანური რესურსის) მართვის პოლიტიკის გატარება.

**2. დეპარტამენტის ამოცანებია:**

ა) მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული რეგულაციების მოთხოვნების გათვალისწინებით და სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით პერსონალის მოზიდვის, შერჩევის და პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალით დაკომპლექტების უზრუნველყოფა;

ბ) პერსონალისათვის სოციალიზაციის და უნივერსიტეტთან ინტეგრირების პროცესში ხელშეწყობა, პროფესიულ განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა;

გ) პერსონალის (ადამიანური რესურსი) ადმინისტრირების ეფექტიანი სისტემის შექმნის/დანერგვის, კოორდინაციისა და კონტროლის უზრუნველყოფა;

დ) პერსონალის ადმინისტრირების სისტემის პერიოდული ანალიზისა და თანამედროვე მეთოდების დანერგვის გზით ადმინისტრაციული პროცესების გამარტივებისა და მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევაზე ზრუნვა;

ე) პერსონალის ზეფასების ეფექტიანი სისტემის შემუშავებაში ჩართულობა და დანერგვის უზრუნველყოფა;

ვ) უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიისა და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით, შრომის ანაზღაურების, მოტივაციისა და წახალისების ეფექტიანი სისტემის შემუშავება/დანერგვის პროცესში აქტიური ჩართულობა - პერსონალის შრომითი კმაყოფილების, ორგანიზაციული ერთეულებისა და დაკისრებული ფუნქციების შესრულების გაუმჯობესების მიზნით;



ზ) უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიის შესაბამისად, ორგანიზაციული (ინსტიტუციური) განვითარების უზრუნველსაყოფად საუნივერსიტეტო სტრუქტურულ ერთეულებში მიმდინარე სამუშაო პროცესების გაუმჯობესების ხელშეწყობა, ადამიანური რესურსების მართვის არსებული პოლიტიკის გაუმჯობესებაზე ზრუნვა;

### 3. დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში პერსონალის მოზიდვის, შერჩევის პროცესის მართვა და კოორდინაცია - უნივერსიტეტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვაკანტური პოზიციის სამუშაო აღწერილობაზე დაყრდნობით შერჩევის წყაროების განსაზღვრა, შიდა რესურსების შეფასება ან პერსონალის შერჩევის მიზნით კონკურსების გამოცხადება და ადმინისტრირება;

ბ) ახლად დასაქმებული/დაქირავებული თანამშრომლის სოციალიზაციისა და ორგანიზაციაში ინტეგრაციის პროცესის კოორდინაცია და მართვა, კომპეტენციის ფარგლებში კონსულტაციის გაწევა და დანშარების აღმოჩენა;

გ) უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული რეგულაციების საფუძველზე პერსონალის საქმიანობის შეფასების იმპლემენტაცია და შეფასებასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია.

დ) უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პერიოდულობით, დახმარე პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების დაგეგმვა, ადმინისტრირება, შედეგების დამუშავება და ანგარიშის მომზადება;

ე) შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან თანამშრომლობით, პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების მომზადებაში, ტრენინგის დაგეგმვა-ადმინისტრირებასა და განხორციელებული ტრენინგების ეფექტიანობის შეფასების პროცესში ჩართულობა;

ვ) დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან თანამშრომლობით, უნივერსიტეტის პერსონალის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული შიდა სამართლებრივი დოკუმენტების (შრომის შინაგანაწესი, დებულება, შრომითი ხელშეკრულება, სამუშაოს აღწერილობები და სხვ.) შემუშავება/მოდიფიცირების პროცესში ჩართულობა - რეკომენდაციებისა და სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და დანიშნულებისამებრ წარდგენა;

ზ) მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი პროცედურების შესაბამისად, ყველა კატეგორიის პერსონალის თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნის, სხვა თანამდებობაზე გადაყვანისა და გათავისუფლების დროულად და სწორად გაფორმება.



თ) ყოველი სასწავლო წლის მიხედვით, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სააუდიტორიო დატვირთვის გაანალიზება და შრომითი ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის კონტროლი;

ი) უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, საჭიროებიდან გამომდინარე, პერსონალის ატესტაციის ორგანიზება - შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით საატესტაციო ინსტრუმენტების მომზადება, ატესტაციის დაგეგმვა, ადმინისტრირება, შედეგების დამუშავება და ანგარიშის მოწოდება;

კ) მოქმედი წესის შესაბამისად, სტაჟირების პროცესის კოორდინაცია;

ლ) არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიერ დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობის წარმართვა, დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების წესისამებრ დოკუმენტირება/გაფორმება;

მ) მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი პროცედურების მოთხოვნათა დაცვით ყველა კატეგორიის პერსონალისათვის (ადმინისტრაციულ, აკადემიურ, სამეცნიერო, მკვლევართა, მასწავლებელთა და დამხმარე თანამდებობებზე დასაქმებულები) შვებულებების და მივლინებების გაფორმება და ვადების დაცვის კონტროლი.

ნ) ჯანმრთელობის დაზღვევის შესყიდვასთან დაკავშირებულ სამუშაოებში (სადაზღვევო პაკეტის შემუშავება, ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება) ჩართულობა, სადაზღვევო კომპანიასთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა - საჭირო ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, მიწოდება, კომპეტენციის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ო) უნივერსიტეტის პერსონალის სამოტივაციო პოლიტიკის შემუშავება/დანერგვა/ სრულყოფაში მონაწილეობა. პერსონალის შრომის ანაზღაურების ეფექტიანი და კონკურენტუნარიანი სისტემის შემუშავებასთან, არსებულის მოდიფიცირებასთან დაკავშირებულ პროცესებში ჩართულობა;

პ) უნივერსიტეტის პერსონალის ხელფასების და წამახალისებელი კომპენსაციების დროული და ზუსტი ადმინისტრირება;

ჟ) უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის შესახებ, პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის, ადმინისტრირების, შეფასების და ორგანიზაციული განვითარების მიმართულებებით სხვადასხვა ტიპის სტატისტიკის წარმოება, ანგარიშების (რეპორტების) მომზადება და რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის წარდგენა ან შესაბამისი სტრუქტურებისათვის მიწოდება დადგენილი ფორმებისა და წესის შესაბამისად.

რ) პერსონალის ელექტრონული ბაზის წარმოება და განახლება, პერსონალის პირადი საქმეების წარმოება, მოწესრიგება და დაარქივება;

ს) უნივერსიტეტის პერსონალისთვის თანამდებობისა და ხელფასის ოდენობის შესახებ ცნობების, საპენსიო ასაკის თანამშრომლებისთვის პენსიის დანიშნისთვის საჭირო დოკუმენტების მომზადება დადგენილი პროცედურის შესაბამისად;

ტ) შემოსული კორესპონდენციის განხილვა და ადრესატისათვის მისი წარდგენის ორგანიზაცია, ხელმოსაწერად წარსადგენი დოკუმენტების გაფორმების სისწორის კონტროლი, კონსულტაციებისა და მეთოდური დახმარების გაწევა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში.

ბ) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი. დეპარტამენტის სამტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობებია: დეპარტამენტის უფროსი, მთავარი სპეციალისტი (I კატეგორია), მთავარი სპეციალისტი (II კატეგორია), წამყვანი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი. კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინებით, განსაზღვრული ვადით, დეპარტამენტში შესაძლებელია მოწვეული იქნეს ექსპერტი/ კონსულტანტი.“;

გ) მე-3 მუხლის -

გ.ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„2. დეპარტამენტის უფროსს უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. დეპარტამენტის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს I კატეგორიის ერთ-ერთი მთავარი სპეციალისტი - დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე.“;

გ.ბ) მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს.



Handwritten signature in blue ink, likely belonging to the official responsible for the document.



სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულის - პერსონალის მართვის დეპარტამენტის დებულებაში საჭირო გახდა გარკვეული ცვლილებების შეტანა. კერძოდ: უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით გადამუშავდა და დაზუსტდა დეპარტამენტის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები - შესაბამისად, დებულების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. არსებული რეალობის და დეპარტამენტის საჭიროების გათვალისწინებით განისაზღვრა სამტატო პოზიციები - ხსენებული ცვლილება აისახა დებულების მე-3 მუხლის პირველ პუნქტში. დეპარტამენტის დებულებიდან ამოღებული იქნა მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი, სადაც ზოგადად გაწერილი იყო პერსონალის ფუნქციები (პერსონალის ფუქცია მოვალეობები ცალკეული პოზიციების მიხედვით დამტკიცებულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, სადაც საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამისი წესით შედის ცვლილებები).

გთხოვთ დეპარტამენტის დებულებაში წარმოდგენილი ცვლილებების განხილვას და დამტკიცებას წარმომადგენლობითი საბჭოს უახლოეს სხდომაზე. ცვლილებების პროექტი თან ერთვის (4 ფურცელი).

პატივისცემით,

ლაშა სალინაძე



ადმინისტრაციის ხელმძღვანელი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი (პროექტი) (დანართი N1)

პროგრამული კოდი	დასახელება	2020 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი	2021 წელი (გეგმა)	მ.შ. საკუთარი სახსრები (გრანტების გარეშე)	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	მ.შ. გრანტები
<b>01 00</b>	<b>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი</b>	<b>95108 070.00</b>	<b>109912 962.00</b>	<b>69489 635.00</b>	<b>26567 769.00</b>	<b>13855 558.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	3 149.00	3 145.00	1 725.00	1 420.00	
	ხარჯები	80229 330.00	86218 892.00	61417 635.00	13111 699.00	11689 558.00
	შრომის ანაზღაურება	28703 219.00	30504 720.00	30504 720.00	0.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	30012 373.00	31658 407.00	26196 140.00	2672 709.00	2789 558.00
	სუბსიდიები	1380 000.00	1972 440.00	0.00	372 440.00	1600 000.00
	გრანტები	840 000.00	1268 000.00	158 000.00	0.00	1110 000.00
	სოციალური უზრუნველყოფა	130 000.00	460 900.00	400 000.00	60 900.00	0.00
	სხვა ხარჯები	10264 540.00	11455 115.00	4158 775.00	1106 340.00	6190 000.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	14878 740.00	23694 070.00	8072 000.00	13456 070.00	2166 000.00
<b>01 01</b>	<b>უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების ადმინისტრირება</b>	<b>20461 730.00</b>	<b>20333 482.00</b>	<b>20333 482.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	355.00	355.00	355.00		
	ხარჯები	20126 730.00	20083 482.00	20083 482.00	0.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	5096 512.00	6015 000.00	6015 000.00	0.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	12664 982.00	11288 632.00	11288 632.00	0.00	0.00
	გრანტები	35 000.00	158 000.00	158 000.00	0.00	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	130 000.00	400 000.00	400 000.00	0.00	0.00
	სხვა ხარჯები	2200 236.00	2221 850.00	2221 850.00	0.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	335 000.00	250 000.00	250 000.00	0.00	0.00
<b>01 02</b>	<b>ფაკულტეტები</b>	<b>32481 339.00</b>	<b>33479 664.00</b>	<b>33479 664.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	1 252.00	1 252.00	1 252.00		
	ხარჯები	31519 339.00	32644 664.00	32644 664.00	0.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	21306 734.00	22066 320.00	22066 320.00	0.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	9680 651.00	9884 419.00	9884 419.00	0.00	0.00
	სხვა ხარჯები	531 954.00	693 925.00	693 925.00	0.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	962 000.00	835 000.00	835 000.00	0.00	0.00
<b>01 02 01</b>	<b>ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი</b>	<b>6836 103.00</b>	<b>7225 608.00</b>	<b>7225 608.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>

	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	142.00	142.00	142.00		
	ხარჯები	6826 103.00	7205 608.00	7205 608.00	0.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	4213 922.00	4432 680.00	4432 680.00	0.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	2544 809.00	2697 468.00	2697 468.00	0.00	0.00
	სხვა ხარჯები	67 372.00	75 460.00	75 460.00	0.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10 000.00	20 000.00	20 000.00	0.00	0.00
<b>01 02 02</b>	<b>ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი</b>	<b>6670 601.00</b>	<b>6413 260.00</b>	<b>6413 260.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	338.00	338.00	338.00		
	ხარჯები	6020 601.00	5913 260.00	5913 260.00	0.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	4774 320.00	4816 980.00	4816 980.00	0.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	1130 281.00	986 910.00	986 910.00	0.00	0.00
	სხვა ხარჯები	116 000.00	109 370.00	109 370.00	0.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	650 000.00	500 000.00	500 000.00	0.00	0.00
<b>01 02 03</b>	<b>იურიდიული ფაკულტეტი</b>	<b>4250 000.00</b>	<b>4544 901.00</b>	<b>4544 901.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	144.00	144.00	144.00		
	ხარჯები	4235 000.00	4519 901.00	4519 901.00	0.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	2520 792.00	2652 440.00	2652 440.00	0.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	1658 587.00	1661 841.00	1661 841.00	0.00	0.00
	სხვა ხარჯები	55 621.00	205 620.00	205 620.00	0.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	15 000.00	25 000.00	25 000.00	0.00	0.00
<b>01 02 04</b>	<b>მედიცინის ფაკულტეტი</b>	<b>4077 805.00</b>	<b>4325 875.00</b>	<b>4325 875.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	152.00	152.00	152.00		
	ხარჯები	3817 805.00	4065 875.00	4065 875.00	0.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	1977 920.00	2088 500.00	2088 500.00	0.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	1721 696.00	1858 500.00	1858 500.00	0.00	0.00
	სხვა ხარჯები	118 189.00	118 875.00	118 875.00	0.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	260 000.00	260 000.00	260 000.00	0.00	0.00
<b>01 02 05</b>	<b>სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი</b>	<b>2810 780.00</b>	<b>2896 440.00</b>	<b>2896 440.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	127.00	127.00	127.00		
	ხარჯები	2800 780.00	2886 440.00	2886 440.00	0.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	2036 420.00	2142 440.00	2142 440.00	0.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	691 800.00	671 000.00	671 000.00	0.00	0.00
	სხვა ხარჯები	72 560.00	73 000.00	73 000.00	0.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10 000.00	10 000.00	10 000.00	0.00	0.00



<b>01 02 06</b>	<b>ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი</b>	<b>1621 854.00</b>	<b>1726 060.00</b>	<b>1726 060.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	76.00	76.00	76.00		
	ხარჯები	1617 854.00	1721 060.00	1721 060.00	0.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	1092 613.00	1098 960.00	1098 960.00	0.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	505 000.00	599 500.00	599 500.00	0.00	0.00
	სხვა ხარჯები	20 241.00	22 600.00	22 600.00	0.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4 000.00	5 000.00	5 000.00	0.00	0.00
<b>01 02 07</b>	<b>ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი</b>	<b>6214 196.00</b>	<b>6347 520.00</b>	<b>6347 520.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	273.00	273.00	273.00		
	ხარჯები	6201 196.00	6332 520.00	6332 520.00	0.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	4690 747.00	4834 320.00	4834 320.00	0.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	1428 478.00	1409 200.00	1409 200.00	0.00	0.00
	სხვა ხარჯები	81 971.00	89 000.00	89 000.00	0.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	13 000.00	15 000.00	15 000.00	0.00	0.00
<b>01 03</b>	<b>ენების შემსწავლელი ცენტრი</b>	<b>2437 435.00</b>	<b>2527 200.00</b>	<b>2527 200.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	107.00	107.00	107.00		
	ხარჯები	2437 435.00	2527 200.00	2527 200.00	0.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	2005 815.00	2095 200.00	2095 200.00	0.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	431 620.00	432 000.00	432 000.00	0.00	0.00
<b>01 04</b>	<b>სტუდენტთა ხელშეწყობა</b>	<b>2412 050.00</b>	<b>2651 000.00</b>	<b>1580 000.00</b>	<b>1071 000.00</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	2362 050.00	2591 000.00	1520 000.00	1071 000.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	330 000.00	340 000.00	340 000.00	0.00	0.00
	სხვა ხარჯები	2032 050.00	2251 000.00	1180 000.00	1071 000.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	50 000.00	60 000.00	60 000.00	0.00	0.00
<b>01 04 01</b>	<b>სტუდენტების საუნივერსიტეტო დაფინანსება</b>	<b>600 000.00</b>	<b>700 000.00</b>	<b>700 000.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	600 000.00	700 000.00	700 000.00	0.00	0.00
	სხვა ხარჯები	600 000.00	700 000.00	700 000.00	0.00	0.00
<b>01 04 02</b>	<b>სტუდენტური პროექტები</b>	<b>780 000.00</b>	<b>800 000.00</b>	<b>800 000.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	730 000.00	740 000.00	740 000.00	0.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	330 000.00	340 000.00	340 000.00	0.00	0.00
	სხვა ხარჯები	400 000.00	400 000.00	400 000.00	0.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	50 000.00	60 000.00	60 000.00	0.00	0.00
<b>01 04 03</b>	<b>სტუდენტური სტიპენდიები</b>	<b>1032 050.00</b>	<b>1151 000.00</b>	<b>80 000.00</b>	<b>1071 000.00</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	1032 050.00	1151 000.00	80 000.00	1071 000.00	0.00
	სხვა ხარჯები	1032 050.00	1151 000.00	80 000.00	1071 000.00	0.00
<b>01 05</b>	<b>მეცნიერებაზე გამოყოფილი დაფინანსება</b>	<b>21610 660.00</b>	<b>28342 327.00</b>	<b>990 000.00</b>	<b>13496 769.00</b>	<b>13855 558.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	1 424.00	1 420.00	0.00	1 420.00	

	ხარჯები	20544 800.00	24720 257.00	990 000.00	12040 699.00	11689 558.00
	საქონელი და მომსახურება	4013 102.00	6452 267.00	990 000.00	2672 709.00	2789 558.00
	სუბსიდიები	1380 000.00	1972 440.00	0.00	372 440.00	1600 000.00
	გრანტები	805 000.00	1110 000.00	0.00	0.00	1110 000.00
	სოციალური უზრუნველყოფა	0.00	60 900.00	0.00	60 900.00	0.00
	სხვა ხარჯები	5447 500.00	6225 340.00	0.00	35 340.00	6190 000.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1065 860.00	3622 070.00	0.00	1456 070.00	2166 000.00
<b>01 05 01</b>	<b>გრანტები</b>	<b>9988 400.00</b>	<b>13855 558.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>	<b>13855 558.00</b>
	ხარჯები	9049 450.00	11689 558.00	0.00	0.00	11689 558.00
	საქონელი და მომსახურება	1624 450.00	2789 558.00	0.00	0.00	2789 558.00
	სუბსიდიები	1200 000.00	1600 000.00	0.00	0.00	1600 000.00
	გრანტები	805 000.00	1110 000.00	0.00	0.00	1110 000.00
	სხვა ხარჯები	5420 000.00	6190 000.00	0.00	0.00	6190 000.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	938 950.00	2166 000.00	0.00	0.00	2166 000.00
<b>01 05 01 01</b>	<b>ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტები</b>	<b>6003 400.00</b>	<b>7955 558.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>	<b>7955 558.00</b>
	ხარჯები	5424 450.00	7189 558.00	0.00	0.00	7189 558.00
	საქონელი და მომსახურება	1624 450.00	2789 558.00	0.00	0.00	2789 558.00
	სხვა ხარჯები	3800 000.00	4400 000.00	0.00	0.00	4400 000.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	578 950.00	766 000.00	0.00	0.00	766 000.00
<b>01 05 01 02</b>	<b>საერთაშორისო გრანტები</b>	<b>3985 000.00</b>	<b>5900 000.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>	<b>5900 000.00</b>
	ხარჯები	3625 000.00	4500 000.00	0.00	0.00	4500 000.00
	სუბსიდიები	1200 000.00	1600 000.00	0.00	0.00	1600 000.00
	გრანტები	805 000.00	1110 000.00	0.00	0.00	1110 000.00
	სხვა ხარჯები	1620 000.00	1790 000.00	0.00	0.00	1790 000.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	360 000.00	1400 000.00	0.00	0.00	1400 000.00
<b>01 05 02</b>	<b>სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა</b>	<b>11153 390.00</b>	<b>13541 579.00</b>	<b>640 000.00</b>	<b>12901 579.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	1 420.00	1 416.00	0.00	1 416.00	
	ხარჯები	11086 480.00	12138 009.00	640 000.00	11498 009.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	8830 640.00	8830 310.00	0.00	8830 310.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	2228 340.00	3211 459.00	640 000.00	2571 459.00	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	0.00	60 900.00	0.00	60 900.00	0.00
	სხვა ხარჯები	27 500.00	35 340.00	0.00	35 340.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	66 910.00	1403 570.00	0.00	1403 570.00	0.00
<b>01 05 02 01</b>	<b>ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა</b>	<b>1058 640.00</b>	<b>1405 090.00</b>	<b>0.00</b>	<b>1405 090.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	104.00	104.00	0.00	104.00	
	ხარჯები	999 740.00	1094 020.00	0.00	1094 020.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	701 640.00	701 640.00	0.00	701 640.00	0.00

	საქონელი და მომსახურება	296 500.00	384 280.00	0.00	384 280.00	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	0.00	6 500.00	0.00	6 500.00	0.00
	სხვა ხარჯები	1 600.00	1 600.00	0.00	1 600.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	58 900.00	311 070.00	0.00	311 070.00	0.00
<b>01 05 02 02</b>	<b>არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი</b>	<b>734 300.00</b>	<b>770 150.00</b>	<b>20 000.00</b>	<b>750 150.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	100.00	100.00	0.00	100.00	
	ხარჯები	734 300.00	758 800.00	20 000.00	738 800.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	653 000.00	653 000.00	0.00	653 000.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	80 000.00	100 000.00	20 000.00	80 000.00	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	0.00	4 500.00	0.00	4 500.00	0.00
	სხვა ხარჯები	1 300.00	1 300.00	0.00	1 300.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	11 350.00	0.00	11 350.00	0.00
<b>01 05 02 03</b>	<b>მიხეილ ნოდის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი</b>	<b>958 500.00</b>	<b>1199 700.00</b>	<b>50 000.00</b>	<b>1149 700.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	106.00	105.00	0.00	105.00	
	ხარჯები	958 500.00	1023 500.00	50 000.00	973 500.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	695 800.00	695 800.00	0.00	695 800.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	261 000.00	318 900.00	50 000.00	268 900.00	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	0.00	6 500.00	0.00	6 500.00	0.00
	სხვა ხარჯები	1 700.00	2 300.00	0.00	2 300.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	176 200.00	0.00	176 200.00	0.00
<b>01 05 02 04</b>	<b>ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი</b>	<b>1351 900.00</b>	<b>1642 304.00</b>	<b>250 000.00</b>	<b>1392 304.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	180.00	180.00	0.00	180.00	
	ხარჯები	1343 890.00	1605 704.00	250 000.00	1355 704.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	1048 100.00	1048 100.00	0.00	1048 100.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	280 690.00	538 704.00	250 000.00	288 704.00	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	0.00	3 800.00	0.00	3 800.00	0.00
	სხვა ხარჯები	15 100.00	15 100.00	0.00	15 100.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	8 010.00	36 600.00	0.00	36 600.00	0.00
<b>01 05 02 05</b>	<b>შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი</b>	<b>638 600.00</b>	<b>645 770.00</b>	<b>0.00</b>	<b>645 770.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	75.50	75.50	0.00	75.50	
	ხარჯები	638 600.00	642 650.00	0.00	642 650.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	498 600.00	498 600.00	0.00	498 600.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	140 000.00	140 250.00	0.00	140 250.00	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	0.00	3 800.00	0.00	3 800.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	3 120.00	0.00	3 120.00	0.00

<b>01 05 02 06</b>	<b>ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი</b>	<b>505 000.00</b>	<b>574 810.00</b>	<b>0.00</b>	<b>574 810.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	71.00	71.00	0.00	71.00	
	ხარჯები	505 000.00	549 810.00	0.00	549 810.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	383 600.00	383 600.00	0.00	383 600.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	120 000.00	162 510.00	0.00	162 510.00	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	0.00	2 300.00	0.00	2 300.00	0.00
	სხვა ხარჯები	1 400.00	1 400.00	0.00	1 400.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	25 000.00	0.00	25 000.00	0.00
<b>01 05 02 07</b>	<b>ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი</b>	<b>462 800.00</b>	<b>818 980.00</b>	<b>100 000.00</b>	<b>718 980.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	60.00	60.00	0.00	60.00	
	ხარჯები	462 800.00	565 400.00	100 000.00	465 400.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	382 200.00	381 000.00	0.00	381 000.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	80 600.00	181 800.00	100 000.00	81 800.00	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	0.00	2 600.00	0.00	2 600.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	253 580.00	0.00	253 580.00	0.00
<b>01 05 02 08</b>	<b>კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი</b>	<b>712 600.00</b>	<b>938 790.00</b>	<b>200 000.00</b>	<b>738 790.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	107.00	107.00	0.00	107.00	
	ხარჯები	712 600.00	933 790.00	200 000.00	733 790.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	587 600.00	587 590.00	0.00	587 590.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	125 000.00	343 600.00	200 000.00	143 600.00	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	0.00	2 600.00	0.00	2 600.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	5 000.00	0.00	5 000.00	0.00
<b>01 05 02 09</b>	<b>რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი</b>	<b>1008 500.00</b>	<b>1209 500.00</b>	<b>0.00</b>	<b>1209 500.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	135.00	135.00	0.00	135.00	
	ხარჯები	1008 500.00	1019 500.00	0.00	1019 500.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	806 000.00	806 000.00	0.00	806 000.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	202 500.00	209 000.00	0.00	209 000.00	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	0.00	4 500.00	0.00	4 500.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	190 000.00	0.00	190 000.00	0.00
<b>01 05 02 10</b>	<b>ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი</b>	<b>671 100.00</b>	<b>681 100.00</b>	<b>0.00</b>	<b>681 100.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	82.50	82.50	0.00	82.50	
	ხარჯები	671 100.00	672 900.00	0.00	672 900.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	544 800.00	544 800.00	0.00	544 800.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	126 300.00	126 300.00	0.00	126 300.00	0.00

	სოციალური უზრუნველყოფა	0.00	1 800.00	0.00	1 800.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	8 200.00	0.00	8 200.00	0.00
<b>01 05 02 11</b>	<b>ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი</b>	<b>396 000.00</b>	<b>456 240.00</b>	<b>0.00</b>	<b>456 240.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	57.00	57.00	0.00	57.00	
	ხარჯები	396 000.00	400 240.00	0.00	400 240.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	341 500.00	341 580.00	0.00	341 580.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	54 500.00	56 160.00	0.00	56 160.00	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	0.00	2 500.00	0.00	2 500.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	56 000.00	0.00	56 000.00	0.00
<b>01 05 02 12</b>	<b>პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი</b>	<b>877 350.00</b>	<b>1179 200.00</b>	<b>0.00</b>	<b>1179 200.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	98.00	98.00	0.00	98.00	
	ხარჯები	877 350.00	899 200.00	0.00	899 200.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	618 800.00	618 800.00	0.00	618 800.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	254 550.00	272 000.00	0.00	272 000.00	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	0.00	3 600.00	0.00	3 600.00	0.00
	სხვა ხარჯები	4 000.00	4 800.00	0.00	4 800.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	280 000.00	0.00	280 000.00	0.00
<b>01 05 02 13</b>	<b>ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი</b>	<b>436 500.00</b>	<b>464 700.00</b>	<b>0.00</b>	<b>464 700.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	65.00	65.00	0.00	65.00	
	ხარჯები	436 500.00	464 700.00	0.00	464 700.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	404 000.00	404 000.00	0.00	404 000.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	32 500.00	57 500.00	0.00	57 500.00	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	0.00	3 200.00	0.00	3 200.00	0.00
<b>01 05 02 14</b>	<b>თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი</b>	<b>222 000.00</b>	<b>256 000.00</b>	<b>0.00</b>	<b>256 000.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	29.00	29.00	0.00	29.00	
	ხარჯები	222 000.00	233 000.00	0.00	233 000.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	195 200.00	196 000.00	0.00	196 000.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	26 200.00	34 000.00	0.00	34 000.00	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	0.00	2 000.00	0.00	2 000.00	0.00
	სხვა ხარჯები	600.00	1 000.00	0.00	1 000.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	23 000.00	0.00	23 000.00	0.00
<b>01 05 02 15</b>	<b>პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი</b>	<b>352 500.00</b>	<b>388 365.00</b>	<b>20 000.00</b>	<b>368 365.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	57.00	54.00	0.00	54.00	
	ხარჯები	352 500.00	380 385.00	20 000.00	360 385.00	0.00

	შრომის ანაზღაურება	340 100.00	340 100.00	0.00	340 100.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	10 600.00	37 545.00	20 000.00	17 545.00	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	0.00	900.00	0.00	900.00	0.00
	სხვა ხარჯები	1 800.00	1 840.00	0.00	1 840.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	7 980.00	0.00	7 980.00	0.00
<b>01 05 02 16</b>	<b>მაღალი ენერჯიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი</b>	<b>322 200.00</b>	<b>350 000.00</b>	<b>0.00</b>	<b>350 000.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	31.00	31.00	0.00	31.00	
	ხარჯები	322 200.00	341 470.00	0.00	341 470.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	266 100.00	266 100.00	0.00	266 100.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	56 100.00	73 370.00	0.00	73 370.00	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	0.00	2 000.00	0.00	2 000.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	8 530.00	0.00	8 530.00	0.00
<b>01 05 02 17</b>	<b>ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი</b>	<b>444 900.00</b>	<b>560 880.00</b>	<b>0.00</b>	<b>560 880.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	62.00	62.00	0.00	62.00	
	ხარჯები	444 900.00	552 940.00	0.00	552 940.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	363 600.00	363 600.00	0.00	363 600.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	81 300.00	175 540.00	0.00	175 540.00	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	0.00	7 800.00	0.00	7 800.00	0.00
	სხვა ხარჯები	0.00	6 000.00	0.00	6 000.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	7 940.00	0.00	7 940.00	0.00
<b>01 05 03</b>	<b>დამხმარე სამეცნიერო ერთეულები</b>	<b>468 870.00</b>	<b>595 190.00</b>	<b>0.00</b>	<b>595 190.00</b>	<b>0.00</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	4.00	4.00	0.00	4.00	
	ხარჯები	408 870.00	542 690.00	0.00	542 690.00	0.00
	შრომის ანაზღაურება	68 558.00	69 000.00	0.00	69 000.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	160 312.00	101 250.00	0.00	101 250.00	0.00
	სუბსიდიები	180 000.00	372 440.00	0.00	372 440.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	60 000.00	52 500.00	0.00	52 500.00	0.00
<b>01 05 03 01</b>	<b>მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონალური საგანმანათლებლო კვლევითი ცენტრი (ჰაბი)</b>	<b>74620</b>	<b>116500</b>	<b>0</b>	<b>116500</b>	<b>0</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	4	4	0	4	
	ხარჯები	74620	114000	0	114000	0
	შრომის ანაზღაურება	68558	69000	0	69000	0
	საქონელი და მომსახურება	6062	45000	0	45000	0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	2500	0	2500	0
<b>01 05 03 02</b>	<b>ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი</b>	<b>43650</b>	<b>56250</b>	<b>0</b>	<b>56250</b>	<b>0</b>



	ხარჯები	43650	56250	0	56250	0
	საქონელი და მომსახურება	43650	56250	0	56250	0
<b>01 05 03 03</b>	<b>სხვადასხვა უწყებების მიერ დაფინანსებული პროექტები</b>	<b>350600</b>	<b>422440</b>	<b>0</b>	<b>422440</b>	<b>0</b>
	ხარჯები	290600	372440	0	372440	0
	საქონელი და მომსახურება	110600	0	0	0	0
	სუბსიდიები	180000	372440	0	372440	0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	60000	50000	0	50000	0
<b>01 05 04</b>	<b>აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა</b>	<b>0</b>	<b>150000</b>	<b>150000</b>	<b>0</b>	<b>0</b>
	ხარჯები	0	150000	150000	0	0
	საქონელი და მომსახურება	0	150000	150000	0	0
<b>01 05 05</b>	<b>დოქტორანტების სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა</b>	<b>0</b>	<b>100000</b>	<b>100000</b>	<b>0</b>	<b>0</b>
	ხარჯები	0	100000	100000	0	0
	საქონელი და მომსახურება	0	100000	100000	0	0
<b>01 05 06</b>	<b>პოსტდოქტორანტების სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა</b>	<b>0</b>	<b>100000</b>	<b>100000</b>	<b>0</b>	<b>0</b>
	ხარჯები	0	100000	100000	0	0
	საქონელი და მომსახურება	0	100000	100000	0	0
<b>01 06</b>	<b>პროფესიული განათლების განვითარება</b>	<b>911673</b>	<b>1943344</b>	<b>1943344</b>	<b>0</b>	<b>0</b>
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	11	11	11		
	ხარჯები	794573	1778344	1778344	0	0
	შრომის ანაზღაურება	294158	328200	328200	0	0
	საქონელი და მომსახურება	450415	1390144	1390144	0	0
	სხვა ხარჯები	50000	60000	60000	0	0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	117100	165000	165000	0	0
<b>01 07</b>	<b>კულტურა და სპორტი</b>	<b>1052137</b>	<b>1153945</b>	<b>1153945</b>	<b>0</b>	<b>0</b>
	ხარჯები	1052137	1153945	1153945	0	0
	საქონელი და მომსახურება	1049337	1150945	1150945	0	0
	სხვა ხარჯები	2800	3000	3000	0	0
<b>01 07 01</b>	<b>კულტურის ხელშეწყობა</b>	<b>165000</b>	<b>180000</b>	<b>180000</b>	<b>0</b>	<b>0</b>
	ხარჯები	165000	180000	180000	0	0
	საქონელი და მომსახურება	165000	180000	180000	0	0
<b>01 07 02</b>	<b>სპორტის ხელშეწყობა</b>	<b>254210</b>	<b>323945</b>	<b>323945</b>	<b>0</b>	<b>0</b>
	ხარჯები	254210	323945	323945	0	0
	საქონელი და მომსახურება	254210	323945	323945	0	0
<b>01 07 03</b>	<b>ა(ა)პ საკალათბურთო გუნდი „თსუ“</b>	<b>632927</b>	<b>650000</b>	<b>650000</b>	<b>0</b>	<b>0</b>
	ხარჯები	632927	650000	650000	0	0



	საქონელი და მომსახურება	630127	647000	647000	0	0
	სხვა ხარჯები	2800	3000	3000	0	0
<b>01 08</b>	<b>საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება</b>	<b>639300</b>	<b>680000</b>	<b>680000</b>	<b>0</b>	<b>0</b>
	ხარჯები	20000	25000	25000	0	0
	საქონელი და მომსახურება	20000	25000	25000	0	0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	619300	655000	655000	0	0
<b>01 09</b>	<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>13101746</b>	<b>18802000</b>	<b>6802000</b>	<b>12000000</b>	<b>0</b>
	ხარჯები	1372266	695000	695000	0	0
	საქონელი და მომსახურება	1372266	695000	695000	0	0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	11729480	18107000	6107000	12000000	0
<b>01 09 01</b>	<b>შენობა ნაგებობების რეაბილიტაცია</b>	<b>12410766</b>	<b>18100000</b>	<b>6100000</b>	<b>12000000</b>	<b>0</b>
	ხარჯები	1216266	500000	500000	0	0
	საქონელი და მომსახურება	1216266	500000	500000	0	0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	11194500	17600000	5600000	12000000	0
<b>01 09 02</b>	<b>მატერიალურ ტექნიკური ბაზის განვითარება</b>	<b>690980</b>	<b>702000</b>	<b>702000</b>	<b>0</b>	<b>0</b>
	ხარჯები	156000	195000	195000	0	0
	საქონელი და მომსახურება	156000	195000	195000	0	0

## პროგრამული ბიუჯეტი

დანართი 2

**პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი 01 01) - უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების ადმინისტრირება;**

პროგრამის აღწერა და მიზანი - უნივერსიტეტის ბიუჯეტი მთლიანადაა ორიენტირებული სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესებაზე. ამ პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის შესაბამისი თანხებია გამოყოფილი, როგორც პერსონალის ანაზღაურების, საქონლის შესყიდვის, ასევე, მატერიალურ ტექნიკური ბაზის შენახვა-შეძენის, ჯანმრთელობის დაცვის, სხვადასხვა სახის გადასახადებისა და გადასახდელების ხარჯების დასაფინანსებლად.

**მოსალოდნელი შედეგი:** სწორად წარმართული უნივერსიტეტის პოლიტიკა და მისი ადმინისტრირება ხელს შეუწყობს, როგორც სტუდენტების სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მოტივაციის ამაღლებას, მათი საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

**პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი 01 02) - ფაკულტეტები;**

პროგრამის აღწერა და მიზანი - ფაკულტეტებზე მოქმედებს საბაკალავრო, სამაგისტრო, ერთსაფეხურიანი სწავლების და სადოქტორო პროგრამები. აღნიშნული პროგრამები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსებით. პროგრამის მიზანია მატერიალურ ტექნიკური და ადამიანური

რესურსების ეფექტიანი მართვის გზით უზრუნველყოს სტუდენტების კონკურენტუნარიან მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებად ჩამოყალიბება. სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მათი ჩართულობის გაზრდა.

**მოსალოდნელი შედეგი** - სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის განვითარება რომელიც აისახება სწავლის შედეგებზე. კვლებისა და ინოვაციების მიღწევებზე. ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებაზე.

**პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი 01 03) - ენების შემსწავლელი ცენტრი;**

**პროგრამის აღწერა და მიზანი** - ენების შემსწავლელი ცენტრი ემსახურება ყველა ფაკულტეტის სტუდენტს, რათა მათ აიმაღლონ უცხო ენების ცოდნა და კვალიფიკაცია.

**მოსალოდნელი შედეგი** - სტუდენტები, უშუალოდ სპეციალობასთან ერთად მიიღებენ მაღალი დონის უცხო ენების ცოდნას, რომელიც უზრუნველყოფს მათ საერთაშორისო საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სხვადასხვა სახის აქტივობებში აქტიური ჩართვას.

**პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი 01 04) - სტუდენტთა ხელშეწყობა;**

**პროგრამის აღწერა და მიზანი** - უნივერსიტეტში დიდი ყურადღება ეთმობა სტუდენტთა ხელშეწყობას. კერძოდ, წარჩინებულ სტუდენტებს უფინანსდებათ სწავლის გადასახადი; გარდა ამისა, წარჩინებული სტუდენტები ღებულობენ

სახელმწიფო თუ სხვა სტიპენდიებს. დოქტორანტები სარგებლობენ სწავლის გადასახადის შეღავათით; სტუდენტები ჩართული არიან სამეცნიერო - კვლევით, საგანმანათლებლო საქმიანობაში და აქტიურად მონაწილეობენ სპორტულ-კულტურულ ღონისძიებებში.

**მოსალოდნელი შედეგი** - გაიზრდება სტუდენტების მოტივაცია შედეგზე ორიენტირებულ სწავლებასა და სამეცნიერო, საგანმანათლებლო, სპორტულ-კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებაზე, რაც უზრუნველყოფს მათი ცოდნის და კვალიფიკაციის ამაღლებას.

**პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი 01-05) - მეცნიერებაზე გამოყოფილი დაფინანსება;**

**პროგრამის აღწერა და მიზანი** - უნივერსიტეტში მეცნიერების ხელშეწყობის დაფინანსების წყაროებია: გრანტები, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, უნივერსიტეტის ეკონომიკური შემოსავლები.

აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა და მისი ინტეგრირება სასწავლო პროცესთან.

**მოსალოდნელი შედეგი** - ამაღლება სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის საბოლოო შედეგი. მეცნიერების მიერ შექმნილ პროდუქციას გამოყენებითი ხასიათი მიეცემა. გაძლიერდება საერთაშორისო სამეცნიერო კონტაქტები, აღნიშნული შესაძლებლობას მოგვცემს კიდევ უფრო გავამჯობესოთ რანჟირების სისტემაში უნივერსიტეტის ადგილი და როლი.

**პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი 01 06)- პროფესიული განათლება;**

**პროგრამის აღწერა და მიზანი** - უკანასკნელ წლებში უნივერსიტეტში დიდი ყურადღება ექცევა პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებას. მოქმედებს რამოდენიმე პროფესიული პროგრამა. რომლის მიზანია კვალიფიციური კადრების მომზადება და მათი გამოყენება წარმოების, მომსახურების სფეროებში.

**მოსალოდნელი შედეგი** - უნივერსიტეტში, პროფესიული დარგით მომზადებულ კადრებს შეექმნებათ დასაქმების შესაძლებლობა და ისინი სრულფასოვან კონკურენციას გაუწევენ ამ კუთხით ბაზარზე არსებულ მდგომარეობას.

**პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი 01 07) - კულტურა და სპორტი;**

**პროგრამის აღწერა და მიზანი** - თვალსაჩინოა უნივერსიტეტის სტუდენტების მიღწევები სპორტისა და კულტურის სფეროში. მათ არაერთ წარმატებას მიაღწიეს ქვეყნისა თუ საერთაშორისო დონეზე. სპორტისა და კულტურის განვითარების მიზანია სტუდენტების ჩართულობა ჯანსაღი ცხოვრების წესში და კულტურული საქმიანობის განვითარება.

**მოსალოდნელი შედეგი** - მიღწეული წარმატებების ფონზე კიდევ უფრო გაიზრდება სტუდენტების მონაწილეობა სპორტულ-კულტურულ ღონისძიებებში და ისინი, სასწავლო პროცესთან ერთად, მაქსიმალურად იქნებიან ჩართულები სპორტულ თუ კულტურულ წრეებში, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ თავი წარმოაჩინონ როგორც ქვეყნის ასევე საერთაშორისო დონეზე.

## პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი 01 08) - საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება

პროგრამის აღწერა და მიზანი - უნივერსიტეტი სათანადოთაა უზრუნველყოფილი სასწავლო, საფინანსო, სტუდენტური ბაზებით. აღნიშნულმა შესაძლებლობა მოგვცა პანდემიის პირობებში დისტანციურად წაგვემართა, როგორც სასწავლო პროცესი, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობა.

მოსალოდნელი შედეგი - განხორციელდება კომპიუტერული და სპეციალური ტექნიკის ეტაპობრივი ცვლა, თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, უწყვეტი ქსელური კავშირების უზრუნველყოფა. ამ ეტაპზე სტუდენტების სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა (LMS) ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და გათვალისწინებულია მისი ჩანაცვლება ახალი მოდერნიზირებული ბაზით, რითაც უფრო გაიზრდება სტუდენტების ინფორმირება საჭირო მონაცემებით და გამარტივდება პროცესები.

## პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი 01 09) - ინფრასტრუქტურის განვითარება;

პროგრამის აღწერა და მიზანი - ინფრასტრუქტურის განვითარება უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ბოლო წლებში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი თანხები იქნა მიმართული. პროგრამის მიზანია რეაბილიტირებულ იქნეს სასწავლო კორპუსები, კეთილმოეწყოს საწავლო აუდიტორიები და სტუდენტური სივრცეები, ლაბორატორიებისათვის შეძენილი იქნეს სათანადო აღჭურვილობა და ხელსაწყოები.

მოსალოდნელი შედეგი - გაუმჯობესებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა. სტუდენტური სივრცეების, აუდიტორიების, კაბინეტების, სასწავლო ლაბორატორიების და ბიბლიოთეკის აღჭურვა თანამდროვე ტექნიკით ხელს შეუწყობს, როგორც საგანმანათლებლო-სასწავლო, ისე სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესებას. არსებული შენობის პრივატიზების შედეგად შემოსული სახსრებით, არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტისთვის განხორციელდება ახალი შენობის შესყიდვა და რეაბილიტაცია.





საჯარო სამართლის იურიდიული უნივერსიტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 22265/10

22/12/2020

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს  
ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

გიგზავნით უნივერსიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტს, წარმომადგენლობით  
საბჭოზე განხილვის მიზნით.  
დანართი 3 ფაილი.

ლაშა სალინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი